საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბეჭდის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 27 მარტი. 2018 წ. №62 (8463), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პუტინი ტირის თუ... იცინის?!

რუსი დიპლომატების გამოძევების გადაწყვეტილება ევროპის 14-მა ქვეყანამ მიიღო

სკრიპალის საქმის გამო აშშ-ის პრეზიდენტი ქვეყნიდან 60 რუს დიპლომატს გამოაძევებს და სიეტლში მდებარე რუსეთის საკონსულოს დახურავს. აშშ-დან გამოაძევებენ გაერო-ში რუსეთის წარმომადგენლობაში მომუშავე 12 რუს მზვერავსაც.

„ეს არის სოლიდარობა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიმართ, რომელიც ორმაგი აგენტის სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მოწამვლაში რუსეთს ღიად ადანაშაულებს“, — აცხადებენ თეთრ სახლში.

შეგახსენებთ, რომ ГРУ-ს ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი ბრიტანეთში 4 მარტს მოწამლეს. ამის გამო, დიდმა ბრიტანეთმა 23 რუსი დიპლომატის გამოძევების გადაწყვეტილება მიიღო, რასაც რუსეთმა 23 ბრიტანელი დიპლომატის გამოძევებით უპასუხა.

ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან 14-მა რუსი დიპლომატების გამოძევების გადაწყვეტილება ბრიტანეთთან სოლიდარობის ნიშნად მიიღო. ამის შესახებ ევროსაბჭოს ხელმძღვანელმა დონალდ ტუსკმა განაცხადა.

* * *

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროში რუსეთის მისიის 12 წევრი პერსონა ნონგრატად გამოაცხადა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში განმარტეს, რომ ისინი რუსეთის დაზვერვაზე მუშაობდნენ და თავის დიპლომატიურ პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

* * *

ირლანდიის ფინანსთა მინისტრი რუსი დიპლომატების გამოძევების საჭიროებაზე საუბრობს. „თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, გვკითხავენ, რატომ არ ვუცხადებთ სოლიდარობას ქვეყანას, რომელიც ჩვენი მოკავშირეა“, — განაცხადა პასკელ დონაჰიუმ.

* * *

საფრანგეთი სოლსბერიში თავდასხმის გამო რუსეთის 4 დიპლომატს გამოაძევებს.

* * *

ლიტვა სკრიპალის საქმეზე ბრიტანეთს სოლიდარობას უცხადებს და 3 რუს დიპლომატს გამოაძევებს. ლატვიამ ერთი დიპლომატის გამოძევების გადაწყვეტილება მიიღო. ესტონეთი ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ატაშეს გამოაძევებს.

* * *

ჩეხეთის საგარეო უწყების ცნობით ქვეყანას 3 რუსი დიპლომატი დატოვებს.

* * *

გერმანიის საგარეო უწყებამ დაადასტურა, რომ 4 რუსი დიპლომატის გამოძევების გადაწყვეტილება სკრიპალის საქმის გამო მიიღო.

* * *

კანადაც შეუერთდა ბრიტანეთის სოლიდარობას და ქვეყნიდან რუსეთის საელჩოსა და საკონსულოს 4 თანამშრომელს გამოაძევებს.

* * *

უკრაინამ სკრიპალის საქმის გამო 13 დიპლომატის გამოძევების გადაწყვეტილება მიიღო.

* * *

იტალიის საგარეო უწყებამ რუსეთის 2 დიპლომატის გამოძევების გადაწყვეტილება მიიღო.

* * *

რუსეთი აშშ-ის დიპლომატიური მისიის სულ მცირე 60 თანამშრომელს გააძევებენ — „ყველას ესმის, რომ ზომები ასეთივე იქნება და შეეხება იმავე რაოდენობის თანამშრომელს, ვინაიდან რაოდენობის მიხედვით ჩვენ ერთნაირი დიპლომატიური მისიები გვაქვს. აშშ პასუხად ასეთ „საჩუქარს“ მიიღებს“ — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ ჯაბაროვმა.

* * *

ლონდონმა საეჭვო რუსული ქონების „დაპატიმრებაზე“ ორდერი გასცა

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის უილიამსონის განცხადებით, ტრიპალის საქმის გამო ლონდონმა უკვე გასცა საეჭვო წარმომავლობის რუსულ ქონებაზე დაპატიმრების ორდერი.

„საეჭვო ქონების დაპატიმრებაზე ორდენი უკვე გაცემულია, ჩენი მიზანია, უზრუნველვყოთ რომ ნებისმიერი, გაურკვეველი ფორმით დაგროვებული ქონება აღრიცხვაზე იქნას აყვანილი და ამისთვის აუცილებელ ზომებს ვიღებთ“. განცხადება ამის შესახებ უილიამსონმა ესტონეთში ვიზიტისას გააკეთა. მისივე თქმით, ის კმაყოფილია მოკავშირეების მხარდაჭრით. უილიამსონის განცხადებით, ის კომენტარს არ გააკეთებს რუსეთის მხრიდან ლონდონის ქმედებებზე საპასუხო ნაბიჯისას... მინისტრის განცხადებით, ეს პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაა.

ჟენევის გარღვევა თუ კომპრომისის დანაღმული ველი?

8

ტერეზა მეი: რუსეთის საფრთხე საზღვრებს არ ცნობს

წნორის გარშემო უცხოელები 4 ათას ჰექტარ მიწას ამუშავებენ

4

მილიარდერები, რომლებიც სიღარიბეში გაიზარდნენ...

11

SIC! ნენსკრა ჰესის ადმინისტრაციის შენობაში ადგილობრივი შეიჭრა და ცეცხლი გახსნა!

მესტიაში, ნენსკრა ჰესის მშენებლობის ადგილას ჰესის ადმინისტრაციაში გუშინ ადგილობრივი შეიჭრა და რამდენჯერმე გაისროლა. ახლა ადგილზე სამუშაოები შეჩერებულია. ჩაკეტილია ის ტერიტორია, სადაც ჰესის ადმინისტრაციაა განთავსებული. შსს-მ მომხდართან დაკავშირებით ერთი პირი ჭუბერში დააკავა. მომხდარზე გამოძიება ძალადობით სხვისი მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ბრალდებით დაიწყო, რაც 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ადგილობრივები კი აცხადებენ, რომ სანამ დაკავებულს არ გაათავისუფლებენ, ჰესის ადმინისტრაციას სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობას არ მისცემენ.

ისრაელის ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრი გამოცდილებას გვიზიარებს

ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ისრაელის ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრ ელი კოენს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ორმხრივი კავშირების განვითარების ძირითადი მიმართულებები. აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მაღალი დონის ვიზიტები ნათელი მაგალითია ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავების დიდი ინტერესისა, რომლებიც საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის არსებობს. შეხვედრაზე დადებითად შეფასდა ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს „მაშავის“ საქმიანობა საქართველოში. მისი ძირითადი მიმართულებაა ისრაელის თანამედროვე გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გაზიარება ისეთ დარგებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, მაღალი ტექნოლოგიები და სხვ.

შეხვედრაზე პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ ტენდენციებზე, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე და შესაძლებლობებზე, რომელსაც ქმნის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და სხვა სახელმწიფოებთან. დიმიტრი ქუმსიშვილმა ისრაელის მხარის წარმომადგენლებს გააცნო მოგების განაწილების რეფორმა, რომელიც 2017 წლიდან მოქმედებს და კერძო სექტორს განვითარების და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობას აძლევს. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, პროგრესი, რომელიც საქართველოში მიმდინარე რეფორმებმა მოიტანა, აისახა საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში. მათ შორის, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ავტორიტეტულ რეიტინგში, სადაც საქართველო მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-9 პოზიციაზეა.

ორმხრივ სავაჭრო სტატისტიკაზე საუბრისას დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, რომ პროგრესი სახეზეა, თუმცა პოტენციალი მნიშვნელოვანია. კერძოდ, 2017 წელს სავაჭრო ბრუნვა ქვეყნებს შორის, წინა წელთან შედარებით, 31 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის, ექსპორტი – 28 პროცენტით. საქართველოს ისრაელში, ძირითადად, გააქვს ხილ-ბოსტნეულის წვენები, ლუდი, ღვინო, მინერალური წყლები, თხილი და კაკალი.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე. აღინიშნა, რომ ისრაელი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციები განახორციელა. ამჟამად 271 ისრაელური კომპანია მოქმედებს, რომელთა ჯამური ინვესტიციაც 124 მლნ აშშ დოლარია.

თბილისში საერთაშორისო ფორუმებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს

ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერი, ქნესეთში მოქმედი საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, ისრაელის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ძლიერი ლობისტი ხილიკ ბარი თბილისს საუკეთესო ადგილად მიიჩნევს მშვიდობისა და თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტუალურ საკითხებზე ფორუმებისთვის. მისი თქმით, საქართველო, კერძოდ მისი დედაქალაქი შესაძლებელია მომავალში სხვადასხვა ფორმატის შეხვედრების ცენტრად იქცეს, ვინაიდან განვითარების თვალსაზრისით აქ ყველანაირი პირობა არსებობს.

ქნესეთის ვიცე-სპიკერი მიიჩნევს, რომ გლობალურ, მათ შორის სამშვიდობო საკითხებზე ისეთი დონის შეხვედრები, რომელიც ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იმართება, მომავალში თუ თბილისში გადაინაცვლებს, ეს ხაზს გაუსვამს საქართველოს მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო პოლიტიკაში.

ხილიკ ბარი ისრაელის თემატიკაზე მსგავსი ღონისძიებების საქართველოში ჩატარებას საქართველოში ისრაელის საელჩოსთან და ისრაელში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით აპირებს, ხოლო საერთაშორისო საკითხებზე ფორუმები ორგანიზაცია „ისრაელის სახლის“ მონაწილეობით ჩატარდება, ვინაიდან, მისი თქმით, ამ უკანასკნელს აქვს მდიდარი გამოცდილება. აშშ-დან ახლახან დაბრუნებული ხილიკ ბარი აცხადებს, რომ ელაპარაკა საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციებს და მათ ევროპის ნაცვლად, შეხვედრების თბილისში ჩატარება შესთავაზა.

ამჟამად თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფი ისრაელის დელეგაცია ქნესეთის წევრებისა და ექსპერტების შემადგენლობით, სამშვიდობო საკითხებზე ბრიტანელ ანალიტიკოსებთან არაფორმალურ გარემოში შეხვედრებს მართავს.

ალბანეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა

ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.

ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მიემგზავრება ალბანეთის რესპუბლიკაში, შეუძლია, ვიზის გარეშე შევიდეს და დარჩეს ალბანეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 90 დღე ნებისმიერ 180 დღის განმავლობაში.

ბიბლიოთეკარებს ტესტირებისთვის მოსამზადებლად დამატებით ერთი თვე მიეცემათ

ამის შესახებ გუშინ თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიამ დედაქალაქის მერიაში ბიბლიოთეკარებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„ჩვენ უკვე მესამედ შევხვდით ბიბლიოთეკარებს და კიდევ ერთხელ განვუმარტეთ, თუ რა პროცედურებია საჭირო იმისთვის, რომ ტესტირებამდე სწორად მივიდეთ. მეორე შეხვედრაზე ბიბლიოთეკარების მხრიდან იყო თხოვნა, რომ კიდევ ერთი თვით გადაგვედო სამზადისი, რომ თავის თავში განმტკიცებულიყვნენ და ტესტირებამდე სწორად მივსულიყავით, რაც დაკმაყოფილდა“, – განაცხადა სოფიო ხუნწარიამ. ბიბლიოთეკარების ტესტირება 29 აპრილს იყო დაგეგმილი.

აჭარის მთავრობის წევრები ჩინეთის ქალაქ სიანიანის თავისუფალი სავაჭრო სივრცის წარმომადგენლებს შეხვდნენ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ქალაქის მერთან ლაშა კომახიძესთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ სიანიანში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში სიანიანის თავისუფალი სავაჭრო სივრცის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებულ ორმხივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს. საუბარი შეეხო საქართველო-ჩინეთის აქტიურ თანამშრომლობას ახალი აბრეშუმის გზის პროექტის „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ ფარგლებში, რომელიც არის არა მხოლოდ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი, არამედ პერსპექტივა რეგიონისა და სრულიად ევრაზიის კონტინენტისთვის. სიანიანის თავისუფალ სავაჭრო სივრცეში სტუმრობისას საუბარი ციტრუსის, თხილის, თაფლისა და ღვინის ექსპორტის საკითხებს შეეხო. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციას ჩინეთში საგრძნობლად შეუწყო ხელი 2011 წელს პირველი ქართული ღვინის მაღაზია-რესტორნის გახსნამ ქ. ურუმჩიში, რომელიც ქალაქ ბათუმთანაა დამეგობრებული. ზურაბ პატარაძემ ასევე ხაზი გაუსვა ღვინის ინდუსტრიის განვითარებას, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. განიხილეს ასევე ქალაქ სიანიანის თავისუფალ სავაჭრო სივრცეში აჭარის რეგიონისათვის სპეციალური კუთხის გამოყოფა, სადაც წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი წარმოების პროდუქცია.

ღვინის შესახებ გადაღებული ქართული ფილმი ჰოლივუდის ფესტივალის გამარჯვებულია

ქართულმა ფილმმა „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ – Prime Meridian of Wine, რომლის რეჟისორიც ნანა ჯორჯაძეა, „ჰოლივუდის დამოუკიდებელი დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე“ - Hollywood International Independent Documentary Awards – ექვს ნომინაციაში გაიმარჯვა.

ფილმი მოგვითხრობს ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მისი ტრადიციების შესახებ და ღვინის, როგორც კულტურული ფასეულობის როლზე მსოფლიოში. ფილმის დაჯილდოება 24 მარტს ჰოლივუდში გაიმართა. „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ გამარჯვებული გახდა ნომინაციებში: „საუკეთესო უცხოური ფილმი“, „საუკეთესო პროდიუსერი“ – შალვა ხეცურიანი, „საუკეთესო სცენარის ავტორი“ – თამარ ბართაია, „საუკეთესო რეჟისორი“ – ნანა ჯორჯაძე, „საუკეთესო დამდგმელი ოპერატორი“ – მიხეილ კვირიკაძე და „როლის საუკეთესო შემსრულებელი“ – რევაზ ხეცურიანი.

ფილმმა „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“, უკვე მოიპოვა რამდენიმე ჯილდო საერთაშორისო ფესტივალებზე: ესპანეთი, ღვინის საერთაშორისო კინოფესტივალი MOST 2016 – „წლის საუკეთესო საერთაშორისო ფილმი“, საფრანგეთი – ღვინის კინოფესტივალი – OENOVIDEO, „ჟიურის სპეციალური პრიზი – წლის საუკეთესო ენოლოგიურმი ფილმისთვის“, კალიფორნია – Wine Country Film Festival – „საუკეთესო რეჟისორი“. ფილმი ასევე ნომინირებული იყო ეინდჰოვების კინოფესტივალზე – DOCfeed, ლონდონის ფესტივალზე – Independent Film Awards, Los Angeles Independent Films Award, მელბურნის ფესტივალზე – Phoenix Film Festival და სხვა.

ფილმის პრემიერა თბილისში 19 ივნისს „სომელიეთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური ასამბლეის“ ფარგლებში გაიმართება.

შავი ზღვის რიგით მე-12 ჯაზ-ფესტივალი 19-22 ივლისს გაიმართება

წლევანდელი ფესტივალის „ჰედლაინერია“ როკის ლეგენდა რობერტ პლანტი, რომელიც ქართველი მსმენელის წინაშე 19 ივლისს, „Black Sea Arena“-ზე წარდგება. ფესტივალის ფარგლებში, კონცერტების ნაწილი ბათუმის ჩოგბურთის კლუბში გაიმართება. წლევანდელი ფესტივალის მონაწილეები, ასევე არიან – „Trombone Shorty“, რობერტ გლასპერი, ტეილორ მაქფერინი, ქრისტიან სკოტი, ტერას მარტინი და სხვა.

შავი ზღვის რიგით მე-12 ჯაზ-ფესტივალის ბილეთები რამდენიმე ეტაპად გაიყიდება – 2 აპრილს, 09:00 საათზე დაიწყება ფესტივალის ბილეთებისა და აბონიმენტების პირველი ნაწილის (კალათის) გაყიდვა. ბილეთის ფასი 60 ლარიდან დაიწყება; ფესტივალის ბილეთების შეძენა შესაძლებელი იქნება ონლაინ TKT.GE-ზე.

შავი ზღვის რიგით მე-12 ჯაზ-ფესტივალი „Check in Georgia“-ს ფარგლებში გაიმართება.

„JAZZ & WINE KAKHETI“ ლოპოტასა და წინანდალში 21-23 სექტემბერს ჩატარდება

ფესტივალში წელსაც, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები მიიღებენ მონაწილეობას. „Jazz and Wine Kakheti“-ს ფარგლებში, სამი დღის განმავლობაში, კონცერტების გარდა, დაგეგმილია ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული არაერთი ღონისძიება.

„Jazz & Wine Kakheti“-ის ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

350 ათას ადამიანს უპენსიოდ ტოვებს!

„ძართული ოცნების“ ნაწილი მთავრობას საპენსიო რეფორმის ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს.

ფრაქცია „ ქართული ოცნება სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე ბექა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტი დაახლოებით 350 000-მდე ადამიანს უპენსიოდ ტოვებს. საპენსიო რეფორმის მთავრობისეული და ალტერნატიული ვარიანტები რადიო „კომერსანტის“ ეთერში განიხილეს.

„საპენსიო რეფორმის ჩვენი ვარიანტი უფრო მეტად რეფორმას უკავშირდება, ვიდრე საპენსიო ფონდის განვითარებას. თუ მთავრობის შემოთავაზებას დავაკვირდებით, ეს დოკუმენტი საპენსიო ფონდის შექმნისკენ იხრება. ჩვენი ვარიანტის მთავარი განსხვავება ის არის, რომ ადამიანები, რომლებიც სისტემაში ჩაერთვებიან 2019 წელს, უკვე 2020 წელს მიიღებდნენ გაზრდილ პენსიას. ჩვენ თუ ავიღებთ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, იქ პენსიას მიიღებენ ის ადამიანები, რომლებიც 20 წლის განმავლობაში აგროვებდნენ პენსიას და 20 წლის დაგროვების შემდეგ მიიღებენ გაზრდილ პენსიას. ჩვენს შემთხვევაში კი გაზრდილი პენსიის აღება მეორე წელსვე გახდება შესაძლებელი“ , — განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

ბექა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ თაობათა შორის სოლიდარობის საფუძველზე შეიქმნება საპენსიო სისტემა, რომელიც გულისხმობს პენსიების გაცემას სწორედ სტაჟის მიხედვით.

„თაობათა შორის სოლიდარობა იმას გულისხმობს, რომ შვილების თაობა პენსიას უხდის მშობლების თაობას და ესე გრძელდება ყოველთვის. ეს არ არის დამოკიდებული ფონდებზე, ფასიან ქაღალდებზე და ა.შ. ეს არის მარტივი მექანიზმი რომელიც ჩვენ შეგვიძლია ავამუშავოთ და იქნება ყველაზე მდგრადი“, — განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

პარლამენტის წევრი ამბობს, რომ პენსიის დაანგარიშება ჩანაცვლების კოეფიციენტის განსაზღვრით მოხდება.

„ჩვენ ორიენტირად უნდა ავიღოთ თუ რამდენი უნდა იყოს ჩანაცვლების კოეფიციენტი (პენსიის მოცულობის მიმართება ხელფასთან). მაგალითად, თუ ადამიანმა იმუშავა სრული სტაჟი, ანუ 45 წელი, დღევანდელი ეკონომიკური სისტემიდან გამომდინარე, ჩანაცვლების კოეფიციენტი 45 წლის სტაჟის გათვალისწინებით უნდა იყოს 35 %. დღეს არსებული საპენსიო სისტემით, არის 17 %. რაც ძალიან მცირე და უსამართლოა, რადგან ადამიანმა შეიძლება უფრო დიდხანს იმუშავა ან უფრო დიდი ხელფასი ჰქონდა, დღეს კი ყველა ერთნაირ პენსიას იღებს“, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

„როდესაც ჩვენ პენსიაზე ვსაუბრობთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ოფიციალურ შრომით ურთიერთობაში ცოტა ადამიანია ჩართული. ჩვენ გვაქვს არაფორმალური ეკონომიკის დიდი წილი. ასევე პრობლემას წარმოადგენს ხელფასებში დიდი განსხვავება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1170 ლარია საშუალო ხელფასი, მაგრამ ბევრ ადამიანს ბევრად ნაკლები აქვს. ჩვენ ამ სისტემის საფუძველზე ვუზრუნველყოფთ იმას, რომ მიუხდავად იმისა, რომ ადამიანს ჰქონდა მცირე ხელფასი, მან უზურნველყოს ამ მცირე ხელფასის საფუძველზე შენატანების განხორციელება“, — აცხადებს ბექა ნაცვლიშვილი.

კომერსანტი

კონტრაბანდისტების შეკავება ვერაფრით ხერხდება

თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდა განუხრელად იზრდება. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველოში აქციზის მკვეთრი მატების გამო, პროდუქცია ერთბაშად გაძვირდა, ხოლო მეზობელ ქვეყნებში არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, ფასთა სხვაობა საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ კონტრაბანდისტებს რისკი უღირდეთ.

ოფიციალური ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში სიგარეტის 2 მილიონამდე ღერი შემოვიდა, 2017 წელს კი ამ მაჩვენებელმა 4,5 მილიონ ღერს მიაღწია. გაზრდილია საბაჟოზე საკუთარი სურვილით პროდუქტის ჩაბარების შემთხვევებიც. თუ 2016 წელს 300 ათასამდე ღერი არადეკლარირებული სიგარეტი საკუთარი ნებით ჩაბარეს სახელმწიფოს, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 2 მილიონამდეა.

მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ალკოჰოლური სასმელების მიმართულებითაც. 2016 წელს საქართველოში 3 400 მდე ლიტრი არადეკლარირებული ალკოჰოლური სასმელი აღმოაჩინეს, 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი 6 300 ლიტრამდე გაიზარდა. საკუთარი სურვილით საბაჟოზე ალკოჰოლური სასმელების ჩაბარების ფაქტები, ამ შემთხვევაშიც მომატებულია.

თამბაქოს უკანონოდ შემოტანის ზრდას შემოსავლების სამსახური აქციზის მატებას უკავშირებს. უწყებაში აცხადებენ, რომ არადეკლარირებული პროდუქციის შემოტანის ზრდის მთავარი მიზეზი სწორედ აქციზის გადასახადის ზრდაა. თუმცა, შემოსავლების სამსახურში აღნიშნავენ, რომ ამ რისკების შესახებ უწყებამ პრევენციული ღონისძიებები ჩაატარა და საბაჟოზე კონტროლი გაამკაცრა.

პრობლემის არსებობას ადასტურებს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილიც, მაგრამ იგი საკითხის მოგვარებას სხვა ქვეყნების დაყოლიებით ცდილობს და არა საკუთარი საგადასახადო რეჟიმის მოწესრიგებით.

„ბოლო წერილი, ევროკავშირს რომ მივწერეთ, ის იყო, რომ აქციზის ზრდის პროცედურა 2025 წლამდე გაიწეროს. წელს თამბაქოზე განაკვეთი არ გაზრდილა, შემდეგ წელს კი მოიმატებს. როდესაც აქციზი იზრდება, არის ერთი საშიშროება. ჩვენ გარშემორტყმული ვართ ქვეყნებით, სადაც ბევრი თამბაქოს ნაწარმია. თუ შენი აქციზი ძალიან მაღალია, შემდეგ იწყება კონტრაბანდა.

ამიტომ ვესაუბრებით ჩვენი მეზობელი ქვეყნების მთავრობებს, რომ ერთად ავწიოთ ეს აქციზი იმისთვის, რომ ერთმანეთთან არ დაიწყოს კონტრაბანდული საქონლის გატანა. ძალიან აქტიური მოლაპარაკება გვაქვს სომხეთთან, სადაც ყველაზე დაბალი განაკვეთია, დანარჩენებთან მეტ-ნაკლებად გავსწორდით. სომხეთი დაგვპირდა, რომ წელს აქციზს გაზრდიან და ვნახოთ, ამის მიხედვით რა იქნება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

თამბაქოსთან ერთად მომატებულია ალკოჰოლის კონტრაბანდაც, მაგრამ ამ მიმართულებით შემოსავლების სამსახური პრობლემას ვერ ხედავს.

„ალკოჰოლთან დაკავშირებით წლების განმავლობაში სურათი მეტ-ნაკლებად იდენტურია. რაც შეეხება თამბაქოს, ამას აქვს თავის მიზეზი და ეს დაკავშირებულია თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ზრდასთან დაკავშირებით. შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა წინასწარი პრევენციული ღონისძიებები აქციზის ზრდასთან დაკავშირებით მოხდა საბაჟო გამშვები პუნქტების შესაბამისი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა. გადავამზადეთ კადრები. ამასთან, მოხდა მაღალი რისკის მქონე საბაჟო გამშვები პუნქტების იდენტიფიცირება, საიდანაც იყო კონტრაბანდული ტვირთების შემოდინების მეტი ალბათობა და ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საქართველოს ეკონომიკური საზღვრები სრულად ყოფილიყო დაცული კონტრაბანდისგან.

ალკოჰოლთან დაკავშირებით არ გვაქვს მაღალი რისკი, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით თამბაქოსთან მიმართებაში. ვიცით, რომ აქციზი არ არის გაზრდილი მეზობელ ქვეყნებში და ეს არის პრობლემა“, — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხატია მოისწრაფიშვილმა.

ბექა დანელია

თუ ეს ფაქტი მართალია, მასწავლებელ ლ. ღ.-ს მადლობა უნდა გამოვუცხადოთ!

რუსთავის ჟიული შარტავას სახელობის მე-4 სკოლაში იძულებით ლოცვასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მოკვლევა დაიწყო, — ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ ომბუდსმენის აპარატში განუცხადეს.

ომბუდსმენის აპარატთან ერთად, მოკვლევა დაიწყო თავად სკოლამაც. სკოლის შიგნით მე-4 კლასის მასწავლებელზე, რომლის მიმართაც მშობელს პრეტენზიები აქვს, დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს.

ცნობისთვის, 21 მარტს „ჯი-ეიჩ-ენს“ ამავე სკოლის მოსწავლის მშობელი დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებელი გაკვეთილების დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ლოცვას აიძულებს.

მშობელმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა გადაწყვიტა, გვითხრა, რომ გარდა ლოცვის იძულებისა, მასწავლებელი გოგონებს კაბების ჩაცმაც მოსთხოვა და უთხრა, რომ ეკლესიურად შარვლის ტარება ცოდვაა.

ფაქტის გადასამოწმებლად „ჯი-ეიჩ-ენი“ თავად მასწავლებელ ლ.ღ.-ს დაუკავშირდა, რომელმაც ლოცვის ფაქტი დაადასტურა, ოღონდ აქვე ხაზი გაუსვა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეების სურვილით ხდება და არა დაძალებით.

მისივე განცხადებით, ფორმაზე ნამდვილად გააფრთხილა მოსწავლეები, მხოლოდ იმიტომ რომ სკოლას აქვს ასეთი მოთხოვნა. გოგონებისთვის შარვლის აკრძალვის ფაქტი კი, მან კატეგორიულად უარყო.

თბილისის სატელევიზო ანძა უფრო ლამაზად აკიაფდება

„თბილსერვის ჯგუფი“ თბილისის სატელევიზიო ანძაზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს იწყებს, რომლის ფარგლებში დაზიანებული სანათი მოწყობილობები ახლით ჩანაცვლდება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, სამუშაოების მიმდინარეობისას ანძა ნაწილობრივ იქნება განათებული.

მათივე ცნობით, სანათების მონტაჟი კვირის ბოლომდე დასრულდება.

„ჩექ ინ ჯორჯიადან“ მილებული სარგებელი გაწეულ ხარჯს ვერ აწონასწორებს

რამდენად ეფექტურია „ჩექ ინ ჯორჯიას“ პროექტი, რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნისთვის? როგორც აღმოჩნდა, დახარჯული ათეულობით მილიონი ლარიდან მიღებული სარგებელი გაწეული ხარჯის შესაბამისი არ არის. მართალია, წელს მთავრობამ „ჩექ ინ ჯორჯიას“ დაფინანსება ცოტათი შეამცირა, მაგრამ მაინც სოლიდურად გამოიყურება.

პროექტის ბიუჯეტი წელს 20 მილიონი ლარი იქნება. ღონისძიებები აპრილში დაიწყება და წლის ბოლომდე გასტანს. პროექტი თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებს მოიცავს. წელს „ჩექ ინ ჯორჯიას“ ქოლგის ქვეშ გაერთიანდა თითქმის ყველა მასშტაბური ფესტივალი, მათ შორის, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი, თბილისის საერთაშორისო თეატრალური და ფოტოფესტივალები, საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი Ad Black Sea და სხვა.

ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **გიორგი ჩოგოვაძის** თქმით, პროექტის მიზანი საქართველოში ჩამოსული ტურისტის საკუთარ ქვეყანაში კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნებაა. 2018 წლის „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში დაახლეობით 300 ღონისძიება ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

„ჩექ ინ ჯორჯიას“ ვიყენებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის იმიჯი ავამაღლოთ მსოფლიოს მასშტაბით. რამეთუ ვამბობთ, რომ ეს არის დინამიკური ქვეყანა, სადაც მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრება ხვდება ტურისტებს, ეს არის უსაფრთხო ქვეყანა, სადაც მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩამოდიან, რაც კიდევ ერთხელ გამოგვაჩენს მსოფლიო რუკაზე“, — განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისი თქმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზანია, სუბსიდირება გაუწიონ კერძო სექტორს, რათა მათ ტურისტებს დიდი შთაბეჭდილება შეუქმნან საქართველოს შესახებ.

ეკონომიკის მინისტრიც ადასტურებს, რომ „ჩექ ინ ჯორჯია“ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც წინა წლებთან შედარებით, წელს ბევრად უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა. იგი გამიზნულია იმისთვის, რომ „მოვიზიდოთ მეტი ტურისტი მთელი მსოფლიოდან და ასევე მოვახდინოთ შიდა ტურიზმის წახალისება, ვინაიდან შიდა ტურიზმს ჩვენ ეკონომიკაში მოაქვს არანაკლები შემოსავლები და ქმნის არანაკლებ სამუშაო ადგილს“.

ერთი სიტყვით, მთავრობის წევრები ირწმუნებიან, რომ „ჩექ ინ ჯორჯიას“ დიდი მისი აკისრია ქვეყნის წინაშე. საინტერესოა, როგორია ამ პროექტის ეფექტურობა, რომელიც წელს ათულობით მილიონი ლარით ფინანსდება. აუდიტის დასკვნის მიხედვით, 2016 წელს „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში განხორციელებულ კონცერტებზე ბიუჯეტიდან 28 მილიონი ლარი დაიხარჯა, ხოლო გაყიდული ბილეთებიდან იმავე წელს მთავრობამ 3 044 030 ლარი მიიღო.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას: მსოფლიო კლასის არენა შოუ — 4 აქტივობა; კონცერტი ქვეყნის 17 ქალაქში — 46 აქტივობა; ქუჩის წარმოდგენები — 40 აქტივობა; ბათუმის კოლონადებთან და კორტებზე გამართული კონცერტები.

ამ ღონისძიებებიდან სამი კონცერტი იყო ფასიანი: ეროს რამაზოტის, რობი უილიამსის და MAROON 5-ის, დანარჩენ კონცერტებზე დასწრება უფასო იყო.

აუდიტის სამსახურის ცნობით, 3 კონცერტის ფარგლებში ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა სულ — 3 044 030 ლარი.

„საინვესტიციო ფონდი არ ახდენდა ჩატარებული კონცერტების მიხედვით გაყიდული ბილეთების შესახებ TKT.GE-ს მონაცემთა ბაზიდან დეტალური ინფორმაციების რეპორტირებას და დოკუმენტირებას. შემოსავლის აღიარება ხორციელდებოდა პროგრამიდან გენერირებული სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად“, — აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

ამ სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით გაუყიდავი ბილეთების რაოდენობა 3 719 ერთეული იყო, რომლის ღირებულება 141 840 ლარი იყო.

კულტურის სამინისტრო იმასაც აცხადებდა, რომ „ჩექ ინ ჯორჯიამ“ ქვეყანაში ტურისტების შემოდინებას შეუწყო ხელი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კი ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც სხვა სურათი გამოვლინდა.

საია-ს კვლევის მიხედვით, 2016 წელს პროექტ „ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში ჩატარებულ სამ დიდ ღონისძიებაზე დასასწრებად 49 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, თუმცა ეს გაყიდული ბილეთების დაახლოებით 5%-ს შეადგენდა, ხოლო ჯამურად — ამავე 49 ქვეყნიდან შემოსული ვიზიტორების მხოლოდ 0.05% ეწვია პროექტის ფარგლებში გამართულ კონცერტებისათვის საქართველოს.

ბექა დანელია

ინდოელი ფერმერები: საქართველოში ბიზნესს კარგად ვმართავთ და ვფართოვდებით!



წნორის გარშემო უცხოელები 4 ათას ჰექტარ მიწას ამუშავებენ

ინდური **გამოცემა „The Sunday Tribune“ აქვეყნებს სტატიას, სადაც საუბარია საქართველოში, კერძოდ კი კახეთში დასახლებულ ინდოელ ფერმერებზე.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მანმიტ სინგჰის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

2012 წლის ზაფხულში პენჯაბში არსებულმა ტურისტულმა სააგენტოებმა სარეკლამო კამპანია დაიწყეს და იქაურ ფერმერებს საქართველოში მოგზაურობა და თან მიწის შეძენის შესაძლებლობები შესთავაზეს. ეს ქვეყანა კავკასიაში მდებარეობს, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, ინდოეთიდან 3 ათასი კილომეტრის მოშორებით. შემოდგომაზე ასობით გაბედული პენჯაბელი ფერმერი შორეული უცნობი მიწისკენ გაემგზავრა. ბევრმა დაუჯერა ტურისტულ აგენტებს, რომ საქართველო მალე ევროპის ნაწილად იქნება აღიარებული და რომ იქიდან უფრო ადვილია აშშ-ში და კანადაში გამგზავრებაო — პენჯაბელი ახალგაზრდების საოცნებო ქვეყნებში.

მიწის ყიდვა ამ ავანტიურის ყველაზე ადვილ ნაწილს წარმოადგენდა: მათ შეეძლოთ თბილისთან (საქართველოს დედაქალაქთან) ახლოს 87 აკრი ფართობი 25 რუპიად ეყიდათ. ბევრმა პენჯაბელმა ფერმერმა ჰექტარი მიწა 1200-1300 დოლარად შეიძინა.

საქართველოში მათ ბევრი სიძნელე შეხვდათ: ქართული ენა არ იცოდნენ, ნაყიდი მიწები ფაქტიურად დაბალმწარმოებლური გამოდგა, არ იყო წყლის ჭაბურღილები და საწყავი არხები, რასაც ისინი პენჯაბში მუშაობისას იყვნენ მიჩვეული. მათთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც კი მიუწვდომელი იყო. პირველი მოსავლის — ხორბლის მოყვანის შემდეგ, 2013 წელს, ბევრი მათგანი — დაახლოებით 1800 პენჯაბელი სამშობლოში იმედგაცრუებული დაბრუნდა.

ჯაგრაუნელი კულვინდერ სინგჰ ჯეჯი, 200 სხვა პენჯაბელთან ერთად, საქართველოში დარჩა. მათ ადგილობრივი გამოწვევა მიიღეს და თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება გადაწყვიტეს.

„მათ, ვინც დაბრუნდნენ, ძალიან მცირე მიწა ჰქონდათ ნაყიდი და საბოლოოდ, სხვა ქვეყნებში წასვლაზე ოცნებობდნენ, ან თავი ვერ გაართვეს სიძნელეებს და ძვირადღირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით სარგებლობა ვერ შეძლეს“, — ამბობს კულვინდერ სინგჰი. **მან მინიტრაქტორების მაღაზია გახსნა წნორში, რომლებსაც პენჯაბიდან იღებდნენ. „საქართველოში მხოლოდ ავტომატიზებული ტრაქტორები იყიდებოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენთვის ჩვეული, იოლად სამართავ-შესაკეთებელი ტექნიკა შემოგვეტანა“.**

მოგვიანებით სინგჰმა თავისი ბიზნესი დახურა, რადგან ფერმერთა უმრავლესობამ ტრაქტორები შეიძინა. მან ტაქსის მომსახურების სამსახური დააარსა: **„მაგრამ ამ სფეროში ირანელებიც ჩაერთვნენ და ამრიგად, ამ ბიზნესის შეწყვეტაც მოგვიწია. ისევ ტექნიკის იმპორტს დავუბრუნდით: პენჯაბიდან ახლა კომბაინები შემოგვაქვს, რადგან ამ მანქანებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა“,** — ამბობს იგი, — **„ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ და ბიზნესში სხვა შესაძლებლობებიც უნდა გამოვიყენოთ“.**

წნორი პატარა ქალაქია კახეთში, რომელიც მთელ საქართველოში თავისი ვენახებითაა განთქმული. აქ პენჯაბელი ფერმერები 4 ათას ჰექტარ მიწას ამუშავებენ. **„მიწაზე, სადაც ახლა ხორბალს ვიმკით, ადრე საუკეთესო ვენახები იყო გაშენებული. ნიადაგი თითქმის იგივეა, როგორიც პენჯაბში (ცოტა მეტი თიხა ურევია, მაგრამ ეს არაფერია). ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ სასუქების გამოყენება არ გვიხდება. მავნებელიც ნაკლებია და პესტიციდებით ერთხელ შეწამვლაც საკმარისია“,** — ამბობს ჰურპრიდ სინჰ ბრერი, კომპანია Gurdwara Nanak Darbar-ის წარმომადგენელი წნორში. იგი აქ 50 ჰექტარ მიწას ფლობს და, კულვინდერ სინგჰის მსგავსად, არც ის არ აპირებს პენჯაბში უკან დაბრუნებას.

„საქართველოში დამნაშავეობის დონე დაბალია, ადგილობრივი მოსახლეობაც კეთილგანწყობილია, ამ მხრივ პრობლემები თითქმის არ გვაქვს. ჩვენი ორგანიზაცია — ინდოელი ინვესტორების ასოციაცია — ქართველ სახელმწიფო ჩინოვნიკებს რეგულარულად ხვდება. ისინი გვარწმუნებენ, რომ ჩვენს ინვესტიციებს არაფერი არ ემუქრება. გარდა ამისა, საქართველოში ბევრი სასოფლო-სამეურნეო რეფორმა ტარდება“, — ხაზს უსვამს ჰურპრიდ სინჰ ბრერი და აღნიშნავს, რომ მიწის რეესტრი ონლაინ-რეჟიმშია ხელმისაწვდომი და ქონების საკითხში არანაირი დავები არ არის. არადა, პენჯაბში მიწის საკუთრებაზე დავა უთანხმოების მთავარი მიზეზია.

საქართველოში ჩასული პენჯაბელები დასაწყისში მოწეული პროდუქციის გაყიდვის პრობლემის წინაშე დადგნენ, რადგან მარკეტინგის სისტემა მოშლილი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს დაშორდა. „ჩვენ იძულებული ვიყავით მოსავალი იაფად გაგვეყიდა, რადგან არც საწყობები და არც შესანახი სათავსოები არ გვქონდა“, — ამბობს დიპინდერ სინგჰი. მისი ბიძა ჰადიპ სინგჰი დღეს საქართველოში კომპანია Geo Steel-ის ხელმძღვანელია, ფოლადსადნობი ქარხანა 2007 წლიდან მუშაობს. მან ახლა სილოსის საცავი და წისქვილიც შეიძინა.

მოწეული ხორბლის რაოდენობაზე კარმ სინგჰი (იგი ლუდხიანელია) საუბრობს: ერთ ჰექტარზე 1,5 ტონიდან 1,8 ტონამდე. „პენჯაბში ერთ ჰა-ზე უფრო მეტ მოსავალს ვიღებთ, მაგრამ აქ ზარალის კომპენსაციაში მიწის დიდი ფართობი გვეხმარება. ბიზნესს კარგად ვმართავთ და ვფართოვდებით“ (სტატიის დასასრულს საუბარია აგრეთვე პენჯაბელების საქმიანობაზე ეთიოპიაში).

„THE SUNDAY TRIBUNE“
(ინდოეთი)

ბედი ახალგორელი თამარ მეარაყიშვილისა...

საქართველოს მოქალაქეობა, როგორც „მტკიცებულება“, არასასურველ პირთა წინააღმდეგ

ახალგორელ სამოქალაქო აქტივისტ თამარ მეარაყიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის მეორე საქმე აღიძრა. რაიონის დე ფაქტო პროკურატურა მას დოკუმენტების გაყალბებასა და ოსური ე.წ. მოქალაქეობის უკანონო გზით მიღებას ედავება. თავად თამარი კი დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან მზარდ ზეწოლას ებრძვის.

ახალი ბრალდებების არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ახალგორის დე ფაქტო პროკურატურის თანამშრომლებმა 2017 წლის აგვისტოში თამარი პირველად დააკავეს, მას პირადი ნივთების ჩხრეკისას ორი – ქართული და ოსური პასპორტები აღმოუჩინეს, რაც „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ ე.წ. საკონსტიტუციო კანონის მე-13 მუხლის „დ“ პუნქტის („უცხოეთის მოქალაქეს უფლება აქვს, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მისაღებად მიმართოს იმ პირობით, თუ წარდგენილი აქვს განაცხადი პირველად მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ“) დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, ოსური კანონმდებლობის მიხედვით, განაცხადს თან უნდა ერთვოდეს „პირველადი მოქალაქეობის ქვეყნის თანხმობა ექსპატრიაციაზე (თუ ეს ამ ქვეყნის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული) ან დოკუმენტი, რომელიც პირის მიერ პირველადი მოქალაქეობის, მაგალითად, პირველადი მოქალაქეობის ქვეყნის პასპორტის დაკარგვას ადასტურებს“. თუმცა ეს კანონი, როგორც ჩანს, შერჩევითი გამოყენებისაა. მაგალითად, რუსეთის ბევრი მოქალაქისგან, რომლებმაც ოსური პასპორტები მიიღეს, მათივე ინფორმაციით, მსგავსი არაფერი მოუთხოვიათ.

შემდგომი უკვე „ტექნიკის საქმე“ იყო: ახალგორის რაიონის დე ფაქტო პროკურატურის გამომძიებლებმა ოსური საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამმართველოდან გამოითხოვეს საბუთები, რომელიც თამარს თავის დროზე ოსური ე.წ. მოქალაქეობის მისაღებად ჰქონდა წარდგენილი და რომელშიც მითითებულია, თითქოს მან საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა. სწორედ ეს იქცა იმის მტკიცებულებად, რომ ქალბატონმა ოსური ე.წ. მოქალაქეობის მისაღებად განსაზღვრული წესები დაარღვია.

შედეგად გამომძიებლებმა პირველი – ცილისწამების მუხლით აღძრული საქმისგან ცალკე წარმოებად გამოყვეს კიდევ ერთი საქმე – რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 327-ე მუხლის მესამე პუნქტით, რომელიც წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტის გამოყენებას გულისხმობს და ისჯება 80 000 რუბლის ან განსასჯელი პირის 6 თვის შემოსავლის ოდენობის ჯარიმით, 480 სთ-მდე ვადით ან 2-წლიანი გამოსასწორებელი სამუშაოებით, ან 6-თვიანი პატიმრობით.

თავად მეარაყიშვილი მიიჩნევს, რომ ეს საქმეც, წინას მსგავსად, პოლიტიკურადაა მოტივირებული. ქალბატონი ამბობს, რომ მის მიერ ქართული პასპორტის ფლობა საიდუმლოს არასოდეს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ახალგორის რაიონის ყველა სხვა მკვიდრის შემთხვევაში.

ახალგორის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილის ყველა ან თითქმის ყველა მცხოვრებმა, რომელმაც ოსური ე.წ. მოქალაქეობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ მიიღო, ქართული პასპორტები შეინარჩუნა. ასეთი ასობით ადამიანია, თუმცა საქმე რატომღაც ამ დრომდე მხოლოდ თამარის მიმართ აღიძრა.

„იმ ადამიანებს შორის, ვინც საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნა და შაბათ-კვირას საქართველოში დადის, სახელმწიფო მოხელეებიც არიან, რომლებიც საიდუმლოების დაცვისათვის ხელფასებზე დანამატებს იღებენ და მათ წინააღმდეგ არავის არაფერი მოუმოქმედია... მაინტერესებს, აღძრავენ თუ არა სისხლის სამართლის ანალოგიურ საქმეს ომის ვეტერან მალაქია ჯიოევის მიმართ, რომელსაც კარგად იცნობს და დიდ პატივს სცემს პრეზიდენტი ბიბილოვი? ამ ადამიანმაც ოსური პასპორტი 2008 წლის ომის შემდეგ აიღო და საქართველოს მოქალაქეობაც შეინარჩუნა. საქართველოში ახლაც დადის. ან აღიძვრება თუ არა მსგავსი საქმე მმართველი პარტია „ერთიანი ოსეთის“ რეგიონული განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის მაია ქისიევას წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა ორ სხვადასხვა სახელზე აქვს გაფორმებული – მარინა ქისიევაზე და მაია ფარჩუკაშვილზე, სამხრეთ ოსეთში კი ელზა ქისიევაა? ანუ, ადამიანს სამი დოკუმენტი აქვს: ერთი – ოსური, ორი – ქართული. სხვათა შორის, იგი ამას არ მალავს და „ფეისბუქში“ ხშირად დებს საქართველოში გადაღებულ ფოტოებს. საოცარია, როგორ გაეპარათ ახალგორის რაიონული პროკურატურის ესოდენ მოწადინებულ თანამშრომლებს კიდევ ერთი დამნაშავე პირდაპირ ცხვირწინ? ან, მაგალითად, თავად ახალგორის რაიონული პროკურატურის გამომძიებლის დავით გურციევის და ქეთევან გურციევა ასევე გახლავთ როგორც ოსური, ისე ქართული მოქალაქეობის მფლობელი. მასთან ერთად ხშირად ვმგზავრობ თბილისში მარშრუტკით. იგი ახალგორის რაიონულ ადმინისტრაციაში იურისტად მუშაობს. მაინტერესებს, თუ იყო მის მიმართ აღძრული, ან აწი თუ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე?“ – ამბობს თამარ მეარაყიშვილი.

აღსანიშნავია, რომ პირის მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფლობის დადგენა საკმოდ მარტივია: თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადადიხარ, ესე იგი, ქართული პასპორტი გაგაჩნია, რადგან ქართული საგუშაგო ოსური პასპორტით არ გაგატარებს. საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლაზე უარის თქმა რაიონის მცხოვრებლებს არ შეუძლიათ მთელი რიგი მიზეზების გამო, თანაც არა მარტო ქართველებს, არამედ ოსებსაც: იქით მხარეს არიან ნათესავები, მათი კულტურა, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი...

გამოდის, რომ უბრალოდ უნდა დაკმაყოფილდე ოსური ე.წ. ბინადრობის მოწმობით და შეინარჩუნო საქართველოს მოქალაქეობა – ოსური კანონმდებლობით, ეს შესაძლებელია. თუმცა თუ ოსური პასპორტი არ გაქვს, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს გაგასახლონ და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაგაგდონ. მსგავსი შემთხვევები მრავლად იყო. 2008 წლიდან 3-ჯერ გამოგონილი საფუძვლით ადამიანებს საშვებს ართმევდნენ და ე.წ. ბინადრობის მოწმობების საკითხს თავიდან განიხილავდნენ. საშვების ყოველი შეცვლა კი ერთიდან ორ წლამდე გრძელდებოდა და მთელი ამ დროის განმავლობაში ადამიანებს თავისუფლად გადაადგილების უფლება ეზღუდებოდათ: მათ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ უშვებდნენ; შეეძლოთ, გაედეპორტებინათ ლოდინით გადაღლილი თავად ამ ადამიანის თხოვნით, თუმცა ამ შემთხვევაში დაბრუნება უკვე თითქმის შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, თავად ცხინვალის რაიონშიც საშვით გადაადგილება სახიფათოა – შეუძლიათ, დაგაკავონ.

> **ამ საკითხთან დაკავშირებით იყო მასობრივი პროტესტები, პეტიციები დე ფაქტო პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვისადმი, რაიონში სპეციალური ე.წ. საპარლამენტო კომისიაც კი იყო ჩასული. ახალგორელები ოჯახების გახლეჩას აპროტესტებდნენ: ხშირ შემთხვევაში მშობლებს საშვს აძლევდნენ, მათ შვილებს კი ყრიდნენ, ან პირიქით. თანაც ხშირ შემთხვევაში მშობლები ხანდაზმულები იყვნენ და მოვლას საჭიროებდნენ, სხვა შემთხვევებში კი საძმე მცირეწლოვან ბავშვებს ეხებოდათ.**

გარდა ამისა, ოსური ე.წ. მოქალაქეობა უძრავი ქონების დაცვის საშუალებაცაა: რაიონში მრავლად დაფიქსირებულა შემთხვევები, როდესაც ადამიანებს ადგილობრივი სასამართლოს გზით ართმევდნენ სახლებს, მაღაზიებს...ამდენად, ადგილობრივები ცდილობენ, ნებისმიერი გზით მოიპოვონ ოსური პასპორტი, როგორც მეტ-ნაკლებად სანდო ბერკეტი საკუთარ სახლებში გასამაგრებლად, თუმცა, როგორც ირკვევა, არც ის წარმოადგენს გარანტიას.

რეალურად, ყველას ყველაფერი ესმის – როგორც ადგილობრივებს, ისე დე ფაქტო ხელისუფლებას. ადამიანებმა ახალგორის რაიონში ისწავლეს ცხოვრება შეუმჩნევლად – ისე, რომ ყურადღებას არ იპყრობდნენ, საკუთარ თავს უარს ეუბნებოდნენ სამოქალაქო სიმამაცაზე, მოყვასის მიმართ თანადგომაზეც კი. ხოლო თუ ადაპტირებას შეძლებ და საჭირო ადამიანებს დაუახლოვდები კიდეც, შეიძლება, კარგადაც მოეწყო – რამდენჯერმე უფრო მაღალი ხელფასი დაგინიშნონ, ვიდრე ცხინვალში... ზოგიერთმა რაიონელმა ჩინოსანმა თბილისის ელიტურ რაიონებში სახლებიც კი შეისყიდა. მაგრამ თუ თავს წამოყოფ, დაგემართება ის, რაც თამარს და ამ თვალსაზრისით ყველა ჰაერში გამოკიდებულ მდგომარეობაშია...

ეს ერთგვარი განსაკუთრებული რაიონია საკუთარი პირობებით. ყველა დე ფაქტო პრეზიდენტი, რომელიც ცხინვალის რეგიონს 2008 წლის შემდეგ მართავდა, აღიარებდა, რომ რაიონში არაჯანსაღი, აბსურდული ვითარებაა შექმნილი და სიტუაციის შეცვლის პირობას დებდა.

„2012 წელს ვკითხე ლეონიდ თიბილოვს, იმხანად ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატს: „როგორ გვპირდებით ორმაგ მოქალაქეობას, თუ საქართველო სამხრეთ ოსეთს არ აღიარებს?“-მეთქი. საპასუხოდ თიბილოვი დაგვპირდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცალმხრივი წესით მიიღებდა ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონს. დაახლოებით ერთი წლის წინ, წინასაარჩევნო შეხვედრის დროს ანატოლი ბიბილოვი პირადად დაგვპირდა ორმაგ მოქალაქეობას, თუ არჩევნებში გაიმარჯვებდა. მაშინ დავუჯერეთ, რადგან მისმა პარტიამ – „ერთიანმა ოსეთმა“ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მსგავსი დაპირება შეასრულა – რაიონის 100 მცხოვრებს ოსური მოქალაქეობის მიღებაში დაეხმარა, ამასთან, ყველა მათგანმა საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნა“, – ამბობს მეარაყიშვილი.

> **თუმცა დანაპირები არც ლეონიდ თიბილოვმა შეასრულა, არც ანატოლი ბიბილოვმა. სამაგიეროდ ახალგორის რაიონის დე ფაქტო პროკურატურას დღეს შესაძლებლობა აძვს, ნებისმიერ არასასურველ პირს საძმეები „უკეროს“.**

„ეხო კავკაზა“

ვნახე, როგორ იწვოდა ქართული სოფლები...

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პროკურორის კანცელარიას ნება დართო, დაიწყოს იმ დანაშაულების გამოძიება, რომელიც 2008 წელს სამხრეთ ოსეთსა და საქართველოში იქნა ჩადენილი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დანაშაულები საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა, რადგან მსოფლიო საზოგადოებრიობა სეპარატისტული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ სცნობს. დანაშაულები ჩადენილია საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტის პროცესში 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში.

იმ ომში ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი, მაგრამ ბევრი რამ ვნახე: ისიც, როგორ იწვოდა თამარაშენი, სადაც, როგორც ამხანაგმა კოკოითმა თქვა, "ჩვენ ყველაფერი მიწასთან გავასწორეთ – ვნახე ისიც, როგორ იწვოდა სხვა ქართული სოფლები, როდესაც ვერტმფრენით გორის შემოგარენიდან ჯავაში ვბრუნდებოდი – ისიც ვნახე. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.

და ფოტოაპარატითაც გადავიღე.

ლამაზი სოფლები ლამაზად იწვის? ჰო, ჰო.

მაინც ტყუილად არ ვმუშაობთ, არა?

მე ჩვენებას მივცემ.

აი, ეს დროც დადგა.

სხვაც მოვა.

იქაც ვიღებდით.

ბევრს.

არკადი ბაბჩენკო,
სამხედრო ჟურნალისტი

როგორ გამოვიდეთ ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ჩიხიდან?!

ისევ კვირიკაშვილის წერილის გამო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის კვირიკაშვილის წერილი რუსეთის ხელისუფლებისადმი მოჭარბებულ აჟიოტაჟს იწვევს, რაც თავისთავად მძიმე სენის მანიშნებელია — საზოგადოების გარკვეულ (არცთუ უმნიშვნელო) ნაწილს რომ აქვს შეყრილი. რა არ ითქვა და დაიწერა ამ წერილთან დაკავშირებით: „რუსეთის წინაშე დაჩოქება“, რუსეთის „ბაბაიად“ აღიარება (დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უთხარიო), ნაკლებშინაარსიანი, მდარე ხარისხის და ა.შ., თითქოს წერილის მთავარი მიზანი მილანის მოდების ჩვენებაზე კურტუმოს ქნევით გავლა ყოფილიყო.

ერთ-ერთ ტელედებატებში ხაზგასმით ითქვა, რომ წერილს ბევრი რამ აკლია და საერთოდ ცუდად არის დაწერილი. უმჯობესი იქნებოდა წერილის დამწერი ჯგუფის შექმნა, შინაარსის და დეტალების პოლიტიკოსებთან შეთანხმება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოქვეყნება. ნეტავ რა დროს დაიჭერდა ეს პროცედურა?

არსებული რეალობიდან გამომდინარე — არა ერთ თვეს. გარდაცვლილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღებას ამდენი დრო დასჭირდა და რუსეთისთვის გასაგზავნ წერილს რამდენი დასჭირდებოდა?

პრემიერ-მინისტრის წერილმა თავისი საქმე გააკეთა, ანუ რუსეთის ხელისუფლებამ წაიკითხა, იმსჯელა და პასუხიც არ დააყოვნა, თანაც ერთობ საყურადღებო და მნიშვნელოვანი: „არვის უნდა შეეპაროს ეჭვი, რომ რუსეთი, როგორც ადრე, დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობების გაჯანსაღებით და მზად არის, იქამდე წავიდეს, სადამდეც მზად იქნებიან თბილისში“.

მკითხველს შევახსენებ, რომ წერილის დაწერა, ადრესატის მიერ წაკითხვა, გაანალიზება, პასუხის გაცემა დაემთხვა რუსეთში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების კულმინაციურ პერიოდს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დროული პასუხისთვის, რაც თავისთავად დასაფასებელია.

კვირიკაშვილის წერილმა, ასერიგად დაწუნებულმა ოპოზიციის (და არა მარტო) მიერ, შეასრულა მთავარი — დიალოგის დაწყების სურვილის შეტყობინება. გადაიდგა პირველი ნაბიჯი, ერთობ პოზიტიური, რაც გამოიწვევს სხვა ნაბიჯების გადადგმას. საბოლოო ჯამში კი სიარულს ერთმანეთის მიმართულებით და პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობას გააჩენს.

მხედველობაში მაქვს პირველ პირთა შეხვედრა, თუმცა ამასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება, ცხადია, საწინააღმდეგო აქვს პარლამენტის ყოფილ სპიკერს დავით უსუფაშვილს, რომელმაც პარლამენტის ყოფილ სპიკერ ნინო ბურჯანაძესთან სატელევიზიო დებატების დროს განაცხადა, რომ მაღალ დონეზე შეხვედრა ჰარიჰარად არ ხდება და მას სერიოზული მომზადება სჭირდება.

ვეთანხმები ბატონ დავითს, მაგრამ განვლილი პოლიტიკური ცხოვრება საწინააღმდეგოს რომ გვიჩვენებს?

რაღა შორს წავიდეთ — საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და მისმა გუნდმა ბევრი დრო შეალიეს სულ ახლახან აშშ-ში განხორციელებული ვიზიტის მომზადებას?

აპარატს ბევრი რომ ეფიქრა, ალბათ, ურჩევდა პრეზიდენტს ქვეყნისთვის არაფრისმომტანი ვიზიტიდან თავის შეკავებას. მაგრამ რა ენაღვლებათ, თავისას ხარჯავენ თუ რა? — სახელმწიფო ბიუჯეტს ყვლეფენ საკუთარი მიზნებისთვის. მიზანი კი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილის მონაწილეობის ზონდირება იყო.

დიახ, ასეა, რაც აისახა კიდევაც რუსეთის პასუხში, ერთობ თავშეკავებულში, მაგრამ დამაიმედებელში. მაინც რა აეჭვებს რუსეთს?

ბევრი რამ განვლილი ცხოვრებიდან და არა მარტო, დღევანდელიდანაც. ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ ვაშინგტონში გამოთქმული ანტირუსული განცხადებები. თვითონ განსაჯეთ, რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა მომავალ პარტნიორს, როდესაც კვირიკაშვილის წერილის წაკითხვისთანავე მოისმენდა მარგველაშვილის საწინააღმდეგო განცხადებას?

ქართული მხარე სკეპტიკურადაც არის განწყობილი საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებების დაწყების მიმართ. არაფერს მოიტანსო — ამბობს. ანალოგიური რამ თქვა დავით უსუფაშვილმა არა მარტო საქართველო-რუსეთის, არამედ აშშ-ჩრდილო კორეის სამომავლო დიალოგზე.

მიკვირს, ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსის, როგორიც დავითია. მისი აზრით, მოლაპარაკებები არ უნდა გაიმართოს, მაგრამ რომ არ გაიმართოს, რა იქნება? — გაგრძელდება ის, რაც არის, მძიმე ფინალით.

ყველა ომი მოლაპარაკებით თავდება. მას ალტერნატივა არ აქვს. მოჩვენებით ალტერნატივას ქართული მხარე ქმნის ე.წ. საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით. რატომღაც ქართული მხარე დარწმუნებულია, რომ რუსეთთან მოლაპარაკების ნაცვლად ანგარიშსწორებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რაც „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ უნდა ითავონ. იმისთვის, რომ იმათ ჩვენი გასაჭირი მთელი სიგრძე-სიგანით გაითავისონ, მეტი უნდა ვლანძღოთ — აგრესორი, ოკუპანტი და ღვთისპირისგან გადავარდნილი ეშვებიანი რუსეთი.

უნდა დავარწმუნოთ პარტნიორები, თუ რა ყოველდღიური განსაცდელის წინაშე ვართ. და თუ მაინცდამაინც მოლაპარაკების გამართვა გახდება აუცილებელი, რუსეთთან მარტო არ უნდა დავრჩეთ. ჩვენთან ერთად აუცილებლად უნდა იყვნენ ჩვენი ამერიკელი და სხვა პარტნიორები. არვინ კითხულობს, ორმხრივი მოლაპარაკების მსურველი რუსეთი დათანმხდება თუ არა მრავალმხრივ მოლაპარაკებას.

საზოგადოების ნაწილს ვერა და ვერ გაუგია, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანაა (ქაღალდზე მაინც) და მან მოლაპარაკება გვერდში მდგომი „დათვების“ გარეშე უნდა აწარმოოს.

ქართულ-რუსული ურთიერთობები ჩიხშია და იქიდან გამოყვანას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ეკონომიკური ურთიერთობები, მათ შორის ტურიზმი კარგია, მაგრამ არა უმთავრესი. უმთავრესი პოლიტიკური ურთიერთობებია და აქედან გამომდინარე უსაფრთხოება, ანუ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული რეალობა. საქართველო ამ უსაფრთხოების მოწინავე ხაზზეა, რაც აიძულებს მას გააკეთოს პრაგმატული არჩევანი.

საქართველოს ამჟამინდელ არჩევანს (იგულისხმება ნატოსკენ სწრაფვა) თავისთვის სახიფათოდ მიიჩნევს რუსეთი. გარდა ამისა, რუსეთ-ნატოს დაპირისპირებაში საქართველო ავტომატურად ხდება მძევლად, რასაც, სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა — დაპირისპირებიდან სახარბიელო შედეგის მიღების სურვილით დაბრმავებული, ვერ ითავისებს. **ქართული პოლიტიკა ასე ფიქრობს — რაც მეტი დასავლური ზეწოლა რუსეთზე, მით უკეთესი საქართველოსთვის.**

წლების განმავლობაში აღნიშნულს ჰქონდა და აქვს ადგილი, მაგრამ მას ისეთი შედეგი არ მოჰყოლია, საქართველო რომ ისურვებდა. ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერასაც აქვს საზღვარი და ხშირად ის მხოლოდ სიტყვებით გამოიხატება — არა საქმით. პატარა საქართველოს უდავოდ არა აქვს თავისთვის შეუფერებელი არაპროპორციული სიძლიერის გავლენა ნატოსა და ევროკავშირზე, რომ, იმათ გვერდი აუარონ დაწერილ-დაუწერელ კანონებს და გააწევრონ ის ამ ორგანიზაციებში.

გაწევრების აბსტრაქტული და აკვიატებული იდეა ძნელად ამოსახსნელია ქართული პოლიტიკისთვის. მან თავი დამოუკიდებლობის პირველსავე დღეებიდან იჩინა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაჭრა ძალისმიერი გზით დაისახა, თანაც კავკასიაში მთავარი მოთამაშის, რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად.

დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად ქართულმა პოლიტიკამ მეორე შეცდომა დაუშვა, როდესაც საკუთარი პრობლემების მოგვარება აშშ-ს მიანდო. სააკაშვილის მმართველობის პერიოდი ამის აშკარა დამადასტურებელია. ის და მისი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა აშშ-რუსეთის ერთმანეთთან დასატაკებლად. აშშ-ი ნეოკონსერვატორების გაძლიერებამ და სააკაშვილ-ამ ძალების პოლიტიკურ-ავანტიურისტულმა ჰარმონიზაციამ გამოიწვია 2008 წლის სამხედრო კონფლიქტი.

მოეწონებათ თუ არა ვიღაც-ვიღაცებს, უნდა ითქვას, რომ სააკაშვილმა და ამერიკელმა ნეოკონსერვატორებმა არჩევანი არ დაუტოვეს რუსეთს, რომელმაც იარაღს მიმართა. არც კონფლიქტის შემდეგ მისცეს მას შანსი სხვაგვარად მოქცეულიყო. სააკაშვილის გამუდმებულმა მუქარამ დაკარგულის ძალისმიერი დაბრუნების თაობაზე და სარკოზი-მედვედევის დოკუმენტში ავტონომიების განმსაზღვრელი სტატუსის გადაშლამ, რუსეთს, მათი დამოუკიდებლობის აღიარებისკენ უბიძგა.

რას ვაკეთებთ 2008 წლის შემდეგ?

მივმართავთ ტერიტორიული გამთლიანების უპერსპექტივო გზას, ანუ დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით ყოფილი ავტონომიების დაბრუნებას პოლიტიკური რიტორიკის გაძლიერებით. ქვეყნის შიგნით და გარეთ საზოგადოებას ვუქმნით აზრს, რომ რუსეთი არის უაღრესად არადემოკრატიული, დესპოტური, ჩამორჩენილი სახელმწიფო, რომელიც „ისტორიული განვითარების მცდარ გზაზეა“ და საქართველოს არ აძლევს, პროგრესირების შესაძლებლობას; რომ საქართველო, რუსეთთან მიმართებაში ინარჩუნებს „სტრატეგიულ მოთმინებას“ დასავლური ცივილიზაციის საკეთილდღეოდ; რომ საქართველო არის ამ ცივილიზაციის დაცვის წინა ხაზზე და მსხვერპლს იღებს საერთო საქმისთვის, რაც კარგად უნდა იცოდეს დასავლეთმა.

თუ რა მოიტანა და მოაქვს ამ ვარიანტს — კარგად ვიცით. რეალური არაფერი! და აი ასეთ ვითარებაში ჩნდება პრაგმატული მოსაზრება — რუსეთთან დალაპარაკება, რაც ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მიუღებელია, ვინაიდან იმათი აზრით, რუსეთი იყო, არის და იქნება საქართველოს მუდმივი მტერი.

ამ შიშველი პროპაგანდის მიღმა, შიშველი ფინანსური ინტერესი იკვეთება. რუსეთთან გაუმჯობესებული ურთიერთობა მათთვის დასავლური დაფინანსების შეწყვეტის მომასწავებელია. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს „ომი“ კვირიკაშვილის წერილთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ უტენიან ტვინში მოსახლეობას, რომ რუსეთთან ურთიერთობა ნიშნავს დასავლეთთან ურთიერთობის გაწყვეტას, რუსეთის „იმპერიის“ მიერ საქართველოს ჩაყლაპვას, რუსეთის წინაშე დაჩოქებას, თითქოს დასავლეთის წინაშე იმავეს არ ჰქონდეს ადგილი.

ვინმემ დამისახელოს, რომელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ამჟამად დსთ-ს წევრი, დააჩოქა ან ჩაყლაპა რუსეთმა? იქნებ ყაზახეთი, ბელარუსი, უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სხვა?

რუსეთს არასდროს უთქვამს, ევროკავშირში ნუ შეხვალთო, მაგრამ წინააღმდეგია ნატოში შესვლაზე, ვინაიდან ეს რუსეთის უსაფრთხოებას ეხება და გადადის რუსეთ-დასავლეთის კონფრონტაციაში. რატომ უნდა იყოს პატარა საქართველო დამღუპველ პროცესში ჩართული?

იქნებ ნეიტრალური პოზიციის დაკავებამ მოუტანოს ქვეყანას სიმშვიდე და წარმატება? მაგალითად ფინეთიც კმარა, რომლის მიუმხრობლობის პოლიტიკამ და რუსეთთან პრაქტიკული კავშირურთიერთობების ქონამ, ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების სათავეში მოაქცია. ფინეთი ევროკავშირის წევრია და არ ფიქრობს ნატოში შესვლაზე, მიუხედავად დასავლეთის გამუდმებული მიპატიჟებისა.

საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებაა საჭირო და არა ვინმესთვის ანტირუსული პლაცდარმის შესაქმნელად თავის მისაღება.

ჩვენ უნდა გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება და დავსვათ მარტივი კითხვა — რა გზით მიიღწევა სანუკვარი მიზნები. შევეშვათ იმაზე ფიქრსა და ოცნებას, რომ რუსეთთან დაპირისპირებით დიდ შეღავათებს მივიღებთ დასავლეთიდან. რუსეთთან საგნობრივი დიალოგი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ქართული პოლიტიკა დარწმუნდება ასეთის უცილებლობაში და შეეცდება კონსტრუქციული დიალოგის გზით რუსეთის დარწმუნებას.

21-ე საუკუნის მეორე დეკადის დასასრულია — განსხვავებული, პრაგმატული აზროვნებითა და მსოფმხედველობით. წარსული ისტორიის დღევანდელობაში გადმოტანა მაშინ არის საჭირო, როდესაც მას თანამედროვე თვალით აფასებ, მაგრამ დამღუპველია, თუ ერთადერთად და შეუცვლელად აღიქვამ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე – ერთხმად არჩეული პრეზიდენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2018 წლის 23 მარტს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აკადემიის პრეზიდენტად განმეორებით ხუთი წლის ვადით აირჩია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1975); პროფესორი (1989), სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1992), სსმმ აკადემიის აკადემიკოსი (1995);

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები: მებაღეობის მევენახეობის და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის უმცროსი და შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1960-1973);

მცენარეთა დაცვის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1974-1983; 1987-1995);

აშშ, ქ. ვაშინგტონი, საბჭოთა კავშირის საელჩო, საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი (1983-1987);

აშშ ფიტოპათოლოგიური საზოგადოების წევრი (1984-1987);

აშშ ენტომოლოგიური საზოგადოების წევრი. (1983-1987);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი (1995-2004); აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2004-2013), აკადემიის პრეზიდენტი (2013-2018);

ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის (CACAARI) თავმჯდომარე (2015-2017);

FAO-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAP) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (FAO), (2015-2016);

CGAR (აშშ) ფონდის საბჭოს წევრი (2015-2016);

ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბეტა სამუშაო ჯგუფის წევრი 2001 წლიდან – დღემდე, თავმჯდომარის მოადგილე (2004-2007);

ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების პროგამის (ECPGR) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2003-2012) და ეროვნული კოორდინატორი საქართველოში (2003-2012);

PGR საკოორდინაციო კომიტეტის ხელმძღანელი CAC ქვეყნებში (2005-2007);

ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დღემდე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური კომისიის წევრი, დღემდე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი რესურსების საბჭოს წევრი, დღემდე;

„ქართული ენციკლოპედიის“ აგრარული კომისიის თავმჯდომარე, 2008 წლიდან დღემდე;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, დღემდე;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, დღემდე;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 216, მათ შორის 12 წიგნი, 2 მონოგრაფია, 8 რეკომენდაცია, 8 ბროშურა; 70-ზე მეტი ნაშრომი საერთაშორისო გამოცემებში. მცენარეთა დაცვის და მცენარეთა გენეტიკური რესურსების მიმართულებით, 20 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების ხელმძღვანელი.

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურების წოდებები და ა.შ. – „შრომის წარჩინებული“, მედალი (1982); „ღირსების“ ორდენი (1999); ორი „ვერცხლის დიდი მედალი“ (2005, 2008) – დაჯილდოებულია საერთაშორისო ორგანიზაციების „CGIAR“ და „ICARDA“ მიერ; ნ. ვავილოვის სახელობის მედალი (2013 წ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთელი შემადგენლობა ულოცავს ბატონ გურამს აკადემიის პრეზიდენტად არჩევას, უსურვებს მრავალ წარმატებებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ნიკო კეცხოველის პრემია ლაითურელ „ტყის მეგობრებს“...

ტყეების საერთაშორისო დღეს ყველაზე მასშტაბური სასკოლო გარემოსდაცვითი კონკურსის – ნიკო კეცხოველის პრემია-2018 – ფინალი გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა. მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმართეს.

ეკო მიმართვები, პრეზენტაციები, პერფორმანსები და დასამახსოვრებელი გამოსვლები გარემოს დაცვის თემაზე 29 ფინალისტმა სკოლამ ნიკო კეცხოველის პრემიის მოსაპოვებლად წარადგინა.

დაბა ლაითურის სკოლის გუნდი. პრიზით ხელში ანი თუთისანი – გუნდის წინამძღოლი.

უამრავ სხვა პრიზთან ერთად, დასამახსოვრებელი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიზი, რომელიც ყველა ფინალისტი მოსწავლის მონაწილეობას უზრუნველყოფს ზღვისპირეთის ბანაკში. ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრიზი, რომელიც ფინალისტებს პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლებს.

ნიკო კეცხოველის პრემია – 2018-ის გამარჯვებულები გახდნენ:

მესამე ადგილი – ოტობაიას სკოლა;

მეორე ადგილი – მარადიდის სკოლა;

პირველი ადგილი – დაბა ლაითურის სკოლა.

ნიკო კეცხოველის პრემია კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ პროექტის „ტყის მდგრადი მართვა“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით (ADC) 2014 წელს დაარსდა.

რევაზ თოფურია

⊙ პეტიცია

ნარკოლიბერალიზაცია დაღუპავს მომავალ თაობებს!

საქართველოს პარლამენტს!
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს!

ბატონო პარლამენტის წევრებო!
ბატონო ირაკლი!

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ვისთვისაც სიცოცხლეზე უფრო ძვირფასია ჩვენი სამშობლო და მისი მომავალი თაობების ბედი, მოგმართავთ ნარკოლიბერალიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით. კანონში ცვლილებების შეტანამდე ნარკომომხმარებელთა წარმომადგენლების განსაკუთრებული გააქტიურება, ღია ნარკოპროპაგანდა და სხვა ასპექტები იწვევს მომავალი თაობების ბედით შეწუხებული მოქალაქეების შეშფოთებას.

არ გვსურს მოარული ხმებით, ან კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ნაწყვეტებით ვიმსჯელოთ შემოთავაზებულ კანონპროექტზე.

ჩვენ არ ვართ მომხრე ნარკომომხმარებელთა ციხეში გამოკეტვისა.

ასევე, უკიდურესად წინააღმდეგი ვართ ნარკოტიკების ე.წ. „ჩადებისა“.

მიგვაჩნია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ნარკოსაშუალებების გაუაზრებელ და მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებული ლიბერალიზაცია, მათი სამართლებრივი დოზების დადგენა, გადატანის, შენახვის და რეალიზაციის თავისუფალი უფლება, კანონის მიღებისთანავე დააყენებს დღის წესრიგში ნარკოტიკული საშუალებების ოფიციალური მწარმოებლების გამოჩენის, მათ მიერ პროდუქციის განაწილებისა და გაყიდვის აუცილებლობას. უაღრესად დიდია საშიშროება იმისა, რომ ეს პროცესი უმართავი გახდეს.

იგი დაღუპავს მომავალ თაობებს!

ნარკოლიბერალიზაციის შესახებ კანონის მიღება ნაუცბათევად, საყოველთაო განხილვის გარეშე, დაუშვებელია.

მოვითხოვთ, კენჭისყრის წინ მის უცილობელ გამოქვეყნებას!

კენჭისყრა უნდა იყოს სახელობითი და ჩატარდეს არაუადრეს ერთი თვისა გამოქვეყნებიდან!

თუ კანონი საქართველოს მოქალაქეების ნების საწინააღმდეგოდ მაინც იქნება მიღებული, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ის ადამიანები, ვინც მომავალი თაობის სიჯანსაღეზე არ ფიქრობენ, ჩამოვაცილოთ ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს.

ჩვენ მართალი უნდა ვიყოთ მომავალი თაობების წინაშე!

თუ დღეს არ ძალგვიძს ქვეყნის სამომავლო, ღირსეული განვითარებისთვის აუცილებელი კანონის მიღება, ნუ მივიღებთ!

მომავალ თაობას ნუ წავართმევთ უფლებას, მიიღოს უკეთესი კანონი!

პატივისცემით,
სოლომონ ნერგაძე,
ასისტენტ-პროფესორი, პავიას უნივერსიტეტი;
ცირა ყურაშვილი,
მწერალი;
მარიამ წიკლაური,
პოეტი;
ნინო სადღობელაშვილი,
მწერალი, დრამატურგი.

ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებას სემეკში გაივლიან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის, წყალმომარაგება-წყალარინების, ეკონომიკისა და იურიდიული სპეციალობების ბაკალავრის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, უახლოეს მომავალში, საჭირო თეორიული თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში ცნობიერების ამაღლებას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიაში (სემეკ) სტაჟირებით შეძლებენ.

ტექნიკური უნივერსიტეტი აღნიშნული მიზნის მიღწევას სემეკთან კოოპერაციით გეგმავს.ორივე მხარის თანამშრომლობის შესახებ, გუშინ, სტუ-სა და სემეკს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერით გამყარდა. დოკუმენტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, არჩილ ფრანგიშვილმა დასაქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ მოაწერეს ხელი. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ მარეგულირებელი კომისიის წევრები, სტუ-ის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები და სუდენტები.

ჟენევის გარღვევა თუ კომპრომისის დანაღმული ველი?

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მოახლოებული 43-ე რაუნდი საქართველოში მწვავე დისკუსიების საგნად რჩება. საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადება, რომლის თანახმად, ამ შეხვედრაზე მონაწილეებმა შესაძლოა, ერთობლივი დეკლარაცია მიიღონ „ძალის არგამოყენების თაობაზე“.

ცნობისთვის: მანამდე მმართველი „ქართული ოცნება“ ამის შესაძლებლობას ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა.

თბილისში ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე მაგალითს, რომ თითქმის 10-წლიანი არსებობის მანძილზე ჟენევის შეხვედრის წინ მსგავსი პოლიტიკური მღელვარება დაწყებულიყოს. ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები ჯერ რუსეთის ხელისუფლებისადმი პრემიერ კვირიკაშვილის მიმართვამ „განარისხა“ წინადადებით, ორი სახელმწიფოს ურთიერთობებში „მოჯადოებული წრე გაირღვეს“ და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის ჟენევის ფორმატიც კი შეიცვალოს.

ეს მღელვარება ჯერ ჩამცხრალი არ იყო და ცეცხლს ნავთი დაასხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა: მან აცნობა რუსულ გამოცემა „Коммерсант“-ს, რომ პროცესის მონაწილეებმა შეესაძლოა, „ძალის არგამოყენების შესახებ“ დეკლარაცია მიიღონ და იქვე დაამატა, რომ ეს არანაირად არ შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსს.

ჟენევის დისკუსიებზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ დააზუსტა, რომ ეს მზაობა არავითარ შემთხვევაში არ ხსნის დღის წესრიგიდან იმ პრინციპულ საკითხებს, რომელსაც ქართული მხარე ყოველ შეხვედრაზე აყენებს: დევნილების უპირობო დაბრუნებისა და რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესრულების თაობაზე.

თავად დეკლარაციის შესახებ კი მან თქვა: „ეს იქნება ყველა მონაწილის პოლიტიკური განცხადება. მის მთავარ დებებით მხარედ მიგვაჩნია ის, რომ ეს იქნება ერთგვარი პროლოგი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებაზე საგნობრივი და ქმედითი დისკუსიების დასაწყებად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ძალის არგამოყენების შესახებ საქართველოს ცალმხრივი ვალდებულებების საპასუხოდ საქართველოს წინააღმდეგ ძალის არგამოყენების ვალდებულება არ უნდა აიღოს რუსეთმა. და კიდევ: ამ პოლიტიკურ განცხადებას არაფერი აქვს საერთო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსებთან“.

თუმცა საქართველოს მეორე დიპლომატის მცდელობები, საკითხში სიცხადე შეეტანა, ფუჭი აღმოჩნდა.

„საქართველო რუსეთთან ძალზე სახიფათო თამაშში ებმება“, — თვლიან ყოფილ მმართველ პარტია „ნაციონალურ მოძრაობაში“. მისი ერთ-ერთი ლიდერი — საგარეო საქმეთა ექსმინისტრი გრიგოლ ვაშაძე ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური უწყების კომენტარს „ნერვიულად“ აფასებს, ხოლო ქართული მხარის მზადყოფნაში, რუსეთსა და დე ფაქტო ხელისუფლებებთან სიმბოლურ შეთანხმებას მიაღწიოს, საფრთხეების დანაღმულ ველს ხედავს:

„დეკლარაციაში ჩადებული კიდევ ერთი ნაღმი რაღაც სახით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოხსენიებაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ცვლილებას ვუშვებთ. შეიცვლება საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების სტატუსი, რომელიც ამჟამად მხოლოდ კერძო პირებითაა განსაზღვრული. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ ჩვენ ვთანხმდებით იმას, რომ მათ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ნიშნები გაუჩნდეთ“.

საპარლამენტო სესიაზე ეს საკითხი გუშინწინ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დეპუტატებმა წამოსწიეს და მოითხოვეს, ჟენევის მორიგ შეხვედრამდე პარლამენტში განმარტებებისთვის საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე გამოცხადდეს. მთავრობის გეგმებით საკუთარი უკმაყოფილება გამოხატა „ევროპულმა საქართველომაც“.

თუმცა მმართველ „ქართულ ოცნებაში“ ოპონენტების კრიტიკას უპასუხისმგებლო და უსაფუძვლო უწოდეს. ის, თუ რაზეა საუბარი, კიდევ ერთხელ განმარტა საპარლამენტო ტრიბუნიდან უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ:

„ჩვენ ამას (ერთობლივი დეკლარაციის მიღებას) განვიხილავთ შესაძლებლობად, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები იქნეს გამოყენებული, რათა რუსეთმა თავისი ჯარი გაიყვანოს და ძალის არგამოყენების ვალდებულება აიღოს. ამის გარდა, სხვა არაფერი განიხილება და მსჯელობაც სხვა არაფერზე მიდის“.

ბევრი დამკვირვებელი საქართველოს ხელისუფლების მცდელობას გაგებით მოეკიდა, თუმცა ხსენებული დეკლარაცია მაინც აშფოთებთ, — ამბობს „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ ხელმძღვანელი გიორგი მუჩაიძე. არგუმენტად მას ის გარემოება მოჰყავს, რომ რუსეთი მუდმივად არღვევს შეთანხმებებს — როგორც ზეპირს, ისე ოფიციალურს: **„სამწუხაროდ, ქართულ მხარეს არ გააჩნია მტკიცე და გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. „ოთხზორია-ტატუნაშვილის სია“ რუსეთზე ზეწოლასა და საქართველოს მოქალაქეების უფლებების უხეში დარღვევის პრევენციას ისახავს მიზნად. ამავდროულად, საქართველო დგამს ნაბიჯს, რომელიც, რეალურად, ვერანაირად აუმჯობესებს საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობას ოკუპირებულ რეგიონებში, რუსეთს კი ანიჭებს შესაძლებლობას, საერთაშორისო არენაზე საკუთარი თავის პოზიტიურად პოზიციონირება მოახდინოს“.**

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების რიგით 43-ე რაუნდი 27-28 მარტს არის დაგეგმილი.

ტერეზა მეი: რუსეთის საფრთხე საზღვრებს არ ცნობს

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ის აპირებს მიმართოს ევროკავშირის ლიდერებს და მათ გაერთიანებისკენ მოუწოდოს რუსეთიდან მომავალ საფრთხესთან გასამკლავებლად, რომელიც „საზღვრებს არ ცნობს“.

ტერეზა მეი 22 მარტს ჩავიდა ბრიუსელში, ევროკავშირის საბჭოს ორდღიან სხდომაზე. ჩასვლისას ბრიტანეთის პრემიერმა თქვა, რომ ინგლისის ქალაქ სოლსბერიში ყოფილი ჯაშუშის სერგეი სკრიპალის, მოწამვლა „ნაწილია რუსეთის აგრესიისა ევროპის წინააღმდეგ“.

ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე ტერეზა მეი ილაპარაკებს „სკრიპალის საქმეზე“ და ევროკავშირის ლიდერებს მოუწოდებს, დაგმონ რუსეთი, რომელიც, ლონდონის შეფასებით, პასუხისმგებელია სამხედრო დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკის სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის იულიას მოწამვლაზე. **„რუსეთმა თავი წარმოაჩინა სტრატეგიულ მტრად და არა სტრატეგიულ პარტნიორად“,** — განუცხადა „როიტერს“ დიდი ბრიტანეთის მთავრობის მაღალჩინოსანმა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირისგან არ მოითხოვს რუსეთისთვის ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესებას.

ტერეზა მეის მოთხოვნას ერთობლივი განცხადების შემუშავებასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, წინააღმდეგობა შეხვდება გაერთიანების რამდენიმე წევრისგან, რომლებსაც მოსკოვთან შედარებით თბილი ურთიერთობა აქვთ. ამის შესახებ ბრიტანული მედია წერს, მაღალჩინოსან ბრიტანელ პოლიტიკოსებზე დაყრდნობით.

ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ფედერიკა მოგერინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაერთიანება „უმტკიცესს სოლიდარობას“ გამოხატავდა დიდ ბრიტანეთთან მიმართებით. მან თქვა, **„ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გზავნილი, რაც ჩვენ შეგვიძლია გადავცეთ, არის ერთიანობა, ერთიანობა და ერთიანობაო“**. ევროკავშირის 28 წევრს ერთობლივი განცხადების გავრცელება მხოლოდ ერთხმად შეუძლიათ და მეის დასჭირდება, გადალახოს წინააღმდეგობა საბერძნეთისა და უნგრეთის, რომელთა ლიდერებმაც მანამდე თავი შეიკავეს „სკრიპალის საქმეში“ მოსკოვის სრულად დადანაშაულებისგან.

რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი პოლკოვნიკი, ბრიტანული სპეცსამსახურების აგენტი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მარტის დასაწყისში მოწამლეს ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით. ბრიტანელი ექსპერტების დასკვნით, გამოყენებული იყო რუსული წარმოების ნივთიერება „ნოვიჩოკი“. სკრიპალის მკვლელობის მცდელობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთი დაადანაშაულა და ლონდონიდან გააძევა 23 რუსი დიპლომატი. ანალოგიურ ზომას მიმართა რუსეთმა, რომელიც უარყოფს სკრიპალის მოწამვლასთან კავშირს.

ნიკო ნერგაძე

ტრაგედია კუზბასში

რუსეთის ქალაქ კემეროვოს სავაჭრო ცენტრში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 53-მდე გაიზარდა, — ამის შესახებ რეგიონის საგანგებო სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს. მათი თქმით, ადგილზე 53 ცხედარი იპოვეს.

ცნობისთვის, ოთხსართულიან სავაჭრო ცენტრში ხანძარი გუშინ გვიან გაჩნდა. ბოლო ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 48 ადამიანი. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები, რომლებიც სავაჭრო ცენტრში საგაზაფხულო არდადეგების დაწყებას ზეიმობდნენ. მომხდარის გამო დაკავებულია ოთხი ადამიანი, მათ შორის იმ კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც ამ სავაჭრო ცენტრს ემსახურება.

პოლონეთმა რუსი დიპლომატების გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ელჩს ვარშავაში სერგეი ანდრეევს აცნობა რუსი დიპლომატების გაძევების გადაწყვეტილების შესახებ. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლონეთის საგარეო უწყებაში რუსეთის ელჩი იყო დაბარებული.

„გადაწყვეტილება მიღებულია. ამის შესახებ ინფორმაციას პოლონური მხარე გაავრცელებს“, — განუცხადა რუსეთის ელჩმა ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, **რომ გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა სოლსბერის ინციდენტის გამო რუსი დიპლომატების გაძევების საკითხს განიხილავდა. ბრიტანეთის ქალაქ სოლსბერიში 4 მარტს ყოფილი ჯაშუში სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლეს. ბრიტანეთი სკრიპალის ნერვულ-პარალიტური ნივთიერებით მოწამვლაში რუსეთს ადანაშაულებს. გაერთიანებულმა სამეფომ ქვეყნიდან 23 რუსი დიპლომატი უკვე გააძევა.**

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

ორგანიზაციის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უკანასკნელ წლებში მრავალი პროექტი განახორციელა როგორც საქველმოქმედო, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით. გრძელვადიან, მასშტაბურ პროექტებს შორის აღსანიშნავია შშმ პირთათვის ეტლების უსასყიდლოდ გადაცემის პროექტი, რომელსაც ასოციაცია მეშვიდე წელია ახორციელებს დონორ პარტნიორებთან ერთად. 2017 წელს საქართველოს რეგიონების 35 მუნიციპალიტეტის 807-მა შშმ პირმა მიიღო სამედიცინო ეტლი (გურჯაანი, ახმეტა, სიღნაღი, კასპი, თელავი, გორი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ჭიათურა ზესტაფონი, ხარაგაული, თე რჯოლა, ბაღდათი, ვანი, ხონი წყალტუბი, ქუთაისი, ტყიბული, ახალციხე ბორჯომი, რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო). ადგილებზე ბენეფიციართათვის ეტლების მორგების და სრულყოფილად მომსახურების მიზნით. ასოციაციამ ამერიკული საქველმოქმედო ფონდის ელ-დი-ეს ჩერითის წარმომადგენლებთან ერთად 2017 წელს ჩაატარა ტრენინგები მუნიციპალიტეტების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტებისათვის. ქ. თბილისში მო წვეული იყვნენ აღნიშნული კატეგორიის მუშაკები 12 რაიონის მუნიციპალიტეტიდან, აგრეთვე, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან და იმერეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრიდან. ტრენინგების მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ასოციაციამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა აქცია, რომელიც გულისხმობს შშმ პირების ყო ფითი პირობების გაუმჯობესებას. 2017 წლის განმავლობაში შშმ პირებს გარდა ეტლებისა, გადა ეცათ (71 წყვილი) იდაყვის ყავარჯნები, სასიარულო ჩარჩო 16 ცალი და ეტლის ბალიში 10 ცალი. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და ასოციაციის ორგანიზებით, წყალტუბოში და დაბა ვაზიანში კომპაქტურად ჩასახლებული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჩატარდა გამოკვლევები და კონსულტაციები. სულ გაისინჯა და გამოკვლევა ჩაუტარდა 850 პაციენტს. ბენეფიციარებს საჭიროებისამებრ, უფასოდ გადაეცათ მედიკამენტებიც. ასოციაციის მობილური სამედიცინო ბრიგადა ზაფხულში საქველმოქმედო აქციის ფარგლებში იმყოფებოდა დაბა ხარაგაულში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვა-გამოკვლევის მიზნით. აქაც — პაციენტებს, საჭიროებისამებრ, უფასოდ გადაეცათ მედიკამენტები. ორგა ნიზაცია ფულად დახმარებას უწევს დიდი დამსახურების მქონე 3 ხანდაზმულ პენსიონერს. გრძელდება პროდუქტების დარიგების პროექტი — 33 მარტოხელა მოხუცი ბენეფიციარისთვის თვეში ერთხელ (წიწიბურა, მაკარონი, შაქარი, ზეთი, შვრიის ფანტელი, ბრინჯი და სხვ.). „ჰუმა ნას“ ბავშვთა კვება უსასყიდლოდ გადაეცათ ოზურგეთის და ხარაგაულის სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ,,მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს“ და სამკურნალო დაწესებულებას შპს ,,ჰერას“. ქვემო ქართლის გუბერნიის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში, სადაც ამჟამად 12 ხანდაზმული ბენეფიციარი ბინადრობს უსასყიდლოდ გადასცა მეორეული ტანსაცმელი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჩატარდა აქცია, რომლის დროსაც დევნილ შშმ პირებს უსასყიდლოდ გადაეცათ ეტლები. საქველმოქმედო აქცია განხორციელდა აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო აკადემიისა და სასულიერო სემინარიის სტუდენტებისათვის— (სულ 44 სტუდენტი), რომელთაც უსასყიდლოდ გადაეცათ ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები. მ/წ-ის 9 და 10 მაისს ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი, რომელიც მიეძღვნა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავს. ომის მონაწილე 14 ქალბატონმა ოჯახებში მიიღეს მისალოცი ბარათები და სხვადასხვა საჩუქრები, კვების პროდუქტები და ლოგინის თეთრეული.მორიგი საქველმოქმედო აქცია შედგა გარდაბნის რ-ნის სოფელ ვაზიანში ა.წ. 26 მაისს სამხედრო მოსამსახურეთა, ვეტერანთა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის. ბავშვთა სახლის „ცისარტყელა“-ს 35 აღსაზრდელი დასაჩუქრდა ტანსაცმლით და ტკბილეულით. ივნისის თვეში სოფელ ვაზიანსა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო გაისინჯვა-გამოკვლევის მიზნით ასოციაციის მობილური სამედიცინო ბრიგადის ექიმებმა ჩაუტარეს უფასო სამედიცინო შემოწმება. აქაც პაციენტებს, საჭიროებისამებრ, უფასოდ გადაეცათ მედიკამენტები. შიდა ქართლის სასაზღვრო სოფ. ტირძნისში მოქმედ საბავშვო ბაღში, რომელიც ხუთი სოფლის სკოლამდელი ასაკის 125 ბავშვს აერთიანებს, ასოციაციამ აღსაზრდელებს უსასყიდლოდ გადასცა სახატავი რვეულე ბი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, საბავშვო წიგნები, სათამაშოები და ტკბილეული. ბავშვთა საერთაშორისო დღის (1 ივნისი) აღსანიშნავად, ორგანიზაციამ ე. წ. ადმინისტრაციული ხაზის ზონაში მდებარე სოფელ ერგნეთიდან თბილისში საექსკურსიოდ ჩამოიყვანა 31 ბავშვი და მოაწყო მათთვის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები. ექსკურსანტების ჯგუფმა დაათვალიერა თბილისის ბოტანიკური ბაღი, სამების საკათედრო ტაძარი, ახალგაზრდული ცენტრი, ს.ჯანაშიას სახ. ეროვნულ მუზეუმში გურამ ახალაიას კერძო კოლექციის „ვეფხისტყაოსნის“ გამოფენა, ეროვნული ბიბლიოთეკის ნოდარ დუმბაძის სახელობის დარბაზი და სხვ. ბავშვებს ასოციაციის ხელმძღვანელებთან ერთად უმასპინძლეს ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა და მეუღლემ, ახალგაზრდა პოეტებმა, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ექსკურსიის მონაწილე მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები, საბავშვო კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები. ექსკურსია დასრულდა გართობით მუშტაიდის ბაღში. გაზეთ „საქართველოს სრესპუბლიკაში“გამოქვეყნებული წერილის საშუალებით ორგანიზაციამ შეიტყო 14 წლის ბიჭის, ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, აიდენიზ ბადიროვის შესახებ, რომელიც მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, ბაზრობაზე ლიმონის გაყიდვით არჩენს ავადმყოფ მშობლებს და სამ არასრულწლოვან დას. ორგანიზაცია პერსპექტიული მოჭიდავის ოჯახს ეხმარება ყოველთვიურად საკვები პროდუ ქტებით, ოჯახის ყველა წევრს გადაეცა ტანსაცმელი და თეთრეული.2017 წლის 17 ივნისს,ასოციაციამ კიდევ ერთხელ ჩაატარა საქველმო ქმედო აქცია გარდაბნის რაიონის ვაზიანის დასახლებაში. ასოციაციის ექიმთა მობილურმა ბრიგადამ გასინჯვადაგამოკვლევა ჩაუტარა 499 ადამიანს, ბენეფიციარებს საჭიროებისამებრ უფასოდ გადაეცათ მედიკამენტებიც. საქველმოქმედო აქცია ჩატარდა ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. ოზურგეთის ,,ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მცირე საოჯახო ტიპის სახლის 7 ბენეფიციარს, ჩოხატაურის 9 უსახლკაროს, ჩოხატაურის „განათლების ცენტრის“ 14 შშმ პირს ასოციაციამ უსასყიდლოდ გადასცა მეორეული ტანსაცმელი. ასოციაციამ 2017 წლის დეკემბრში ჩაატარა შეხვედრა-დიალოგი მრგვალ მაგიდასთან, რომელიც მიეძღვნა ნარკოპოლიტიკის რეფორმის, ნარკომანიის დეკრიმინალიზაციის პრობლემებს. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ნარკოპოლიტიკის რეფორმის პროექტის ავტორთა ჯგუფის, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, განათლების და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების, ფსიქოლოგთა საზოგადოების, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს, სახალხო დამცველის, პედაგოგთა, სტუდენტობისა და ჟურნალისტთა საზოგადოების წარმომადგენლები.ახალი ნარკოპოლიტიკის სოციალური, საგანმანათლებლო და სამართლებრივ ასპექტებზე ამომწურავად ისაუბრა ექიმმა-ნარკოლოგმა, პროექტის ავტორთა ჯგუფის წარმომადგენელმა, ნარკოდამოკიდებულების კვლევის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ოთიაშვილმა, მან მიმოიხილა 41 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული კანონპროექტის არსი და ძირითადი დეტალები. ახსნა, როგორ უნდა გავიგოთ ახალი ნარკოპოლიტიკა და რა ეფექტს უნდა ველოდოთ დასჯის და კრიმინალიზაციის ნაცვლად მკურნალობის, დახმარების, რეაბილიტაციის მექანიზმების ამოქმედებისაგან. კანონპროექტის ზოგიერთ პრობლემურ საკითხებზე ინფორმაცით გამოვიდნენ ასოციაციის თანამშრომლები, ფსიქოლოგები. ასოციაციას განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაწესებული აქვს საპატიო მედალი „მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომელიც 2017 წელს გადაეცა სხვადასხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს.

№ დ /03-01 **20 მარტი 2018 წ.**

აუდიტორმა ნოდარ კვანტალიანმა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით SARAS-A-680113 (სერტიფიკატი №5/496 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს) საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე მოვახდინე 2017 წლის წლიური ანგარიშის, მოგება ზარალის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2017 წელში ასოციაციის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 649791 ლარი.

მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული % — 90295 ლარი, მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით — 456688 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაშთად არსებული სასაქონლო მარაგები — 131953 ლარი, ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი 29145 ლარი.

ასოციაციის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს — 431478 ლარს.

აღნიშნული თანხები გახარჯულია მიზნობრივად. ამორტიზაცია დარიცხულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით. საბიუჯეტო გადასახადები გადარიცხულია დადგენილ ვადებში.

სამეურნეო წლის შედეგად მიღებულია მოგება 218313 ლარი.

2018 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 121994 ლარს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 2017 წლის აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება შეესაბამება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს.

ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სისწორე დადასტურებულია ჩემ მიერ.

სერტიფიცირებული აუდიტორი: /ნ.კვანტალიანი/

ბალანსი
2017 წლის

№	დასახელება	აქტივი	პასივი
1	ძირითადი საშუალებები	276357	
2	ძირითადი საშუალებების ცვეთა		154363
3	მომწოდებელზე გადახდილი ავანისი	192312	
4	ეროვნული ვალუტა ბანკში	2863	
5	უცხოური ვალუტა ბანკში	420	
6	მიმდინარე წლის ფინანსური მოგება		218313
7	მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება	1030220	
8	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან სხვადასხვა გადასახადზე	3517	
9	სარეზერვო კაპიტალი		1030220
10	საკუთარი რეზერვი		234746
11	ნაშთად არსებული, მიღებული შემოწირულობა	131953	
	სულ ბალანსი	1637642	1637642

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიში
მიღებული შემოსავლებისა
და ხარჯების შესახებ
2017 წლის

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები	90295
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	456688
3	საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგები	131953
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	29145
	სულ	649791
	ხარჯები	
1	ხელფასი	51146
2	ელ. ნერგიის ხარჯი	374
3	საკომუნიკაციო ხარჯები	1556
4	საწვავის ხარჯი	7690
5	კომუნალური ხარჯი	1802
6	საქველმოქმედო ხარჯები	347758
7	სარეკლამო ხარჯი	710
8	ძირ.საშუალებ მიმდინარე რემონტი	2837
9	აუდიტის ხარჯი	3850
10	საკანცელარიო	253
11	მივლინება	284
12	დარიცხული ამორტიზაცია	7178
13	ქონების გადასახადი	1310
14	სხვა ხარჯები	4730
	სულ ხარჯები	431478
	სულ მოგება	218313

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

მოგება — ზარალის უწყისი

2017 წელი

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული სარგებლიდან მიღებული შემოსავალი	90295
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	456688
3	საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სასაქონლო მარაგების ნაშთი	131953
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი	29145
	სულ შემოსავალი	649791
	ხარჯები	
1	ხელფასი	51146
2	ელ. ნერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, დასუფთავება	2176
3	დარიცხული ამორტიზაცია	7178
4	ძირითადი საშ. მიმდინარე შეკეთება	2837
5	საწვავის ხარჯი	7690
6	ქონების გადასახადი	1310
7	საქველმოქმედო ხარჯები შემოწირული	338710
8	საქველმოქმედო ხარჯები საკუთარი	9048
9	სხვა ხარჯები	11383
	სულ ხარჯები	431478
	მოგება	218313

ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ნახევარფინალში - პორტუგალიასთან

18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც პოლონეთის ქალაქი პოზნანი მასპინძლობს, საქართველოს ნაკრებმა სტარტზე ჰოლანდიის ახალგაზრდული გუნდი თერთმეტი ლელოთი და დიდი ანგარიშით — 69:12 დაამარცხა. ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს: თეიმურაზ ჭიჭინაძე, ოთარ ლაშხი, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, ზურაბ ქავთარაძე, ნიკა ცინცაძე, გიორგი მარგალიტაძე; დავით აბდუშელიშვილი, ვანო პარკაძე, ლუკა ჭელიძე, ტარიელ გვიმრაძე, ვლადიმერ ჩაჩანიძე, ბექა ყორიაული, იოანე იაშალაშვილი, გიგი ლეშკაშელი. სათადარიგოები: ირაკლი მჭედლიძე, საბა კურატიშვილი, ხვიჩა ცოფურაშვილი, ლუკა მაჭარაშვილი, ნიკოლოზ ღამბაშიძე, მიხეილ ალანია, გიორგი თევდორაძე, ირაკლი სიმსივე.

მეოთხედფინალის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დასრულდა: პორტუგალია-რუსეთი 37:32, საფრანგეთი-რუმინეთი 67:8, ესპანეთი-ბელგია 42:3.

ნახევარფინალი, 28 მარტი. საქართველო-პორტუგალია, საფრანგეთი-ესპანეთი.

ცოტნე მაისურაძე

შეგახსენებთ, რომ შარშან რაგბი ევროპის ჩემპიონატი რუმინეთის ნაკრებმა მოიგო, წლეულს კი მე-2 ადგილი დაიკავა და 2019 წლის მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. შესაძლოა, კარპატელებმა ორივე მონაგარი დაკარგონ. საქმე ის არის, რომ რუსულენოვანმა სარაგბო საიტმა rugger.info-მ სენსაციური სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ვარაუდია გამოთქმული, რომ რუმინეთის ნაკრებმა ტონგელი მორაგბე სიონე ფაკაოსილეა (რუმინეთის „ბაია მარეშის“ შუამარბი) განაცხადში არალეგალურად შეიყვანაო. ეს ლეგიონერი 2013-2014 წლების სეზონის 7-კაცას მსოფლიოს სერიის პირველ ეტაპზე თავისი ქვეყნის 7-კაცა ნაკრების შემადგენლობაში ირიცხებოდა და ასე, ერთი ხელის მოსმით, ნაკრების შეცვლა არ შეეძლო, 3-წლიანი შესვენება იყო საჭიროო.

„რუმინეთის სუპერლიგის საიტზე ტონგელის გადასვლის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ვხედავთ, რომ მისი დაბადების თარიღი ბოლომდე არ ემთხვევა მის პროფილებს. ვითომ სეხნიამოგვარეა? — სვამს შეკითხვას რუსული საიტი. — თუკი აღმოჩნდება, რომ ეს ერთი და იგივე ადამიანია, რუმინეთის ნაკრებს რაგბი ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე ტექნიკური წაგებები საქართველოსთან, რუსეთთან და ბელგიასთან ჩაეთვლება, ასევე, 2018 წლის ყველა მატჩშიც“. თუ ეს დადასტურდა, „რუსეთი პირდაპირ გავა 2019 წლის მსოფლიო თასზე (თუ ესპანეთისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩის გაპროტესტებულ შედეგს არ გააუქმებენ), ესპანეთი დარჩება მეორე ადგილზე, ხოლო საქართველო 2017 წლის საჩემპიონო ტიტულს დაისაკუთრებს. ყველა შემთხვევაში, მომავალი გამოძიება იქნება კოლოსალური დარტყმა რუმინული რაგბის იმიჯზე, რომელიც ბელგიისა და ესპანეთის მატჩის მსაჯობის მერე ისედაც არცთუ საუკეთესო მდგომარეობაშია“.

საინტერესოა, რა მოჰყვება ამ სენსაციურ პუბლიკაციას.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

პეტრიაშვილის ბულგარული „ოქრო“



სოფიაში გასულ უქმეებზე დამთავრდა გამოჩენილ მოჭიდავეთა — დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა გენო პეტრიაშვილმა. ქართველი ფალავანი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

პირველ წრეში ჩვენებურმა ბულგარელ დანიელ ვასელინოვს 10:0 სძლია და შემდეგ მის გზას გაუყენა ბერძენი იოანის კარგკიოტაკისიც — 10:0. „ოქროსთვის“ გადამწყვეტ პაექრობაში პეტრიაშვილმა რუსეთის ნაკრების წევრი მურად კუშხოვი 5:0 დაამარცხა და, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ადგილი დაიკავა.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

შეხედეთ ტაბლოს!

ეტყობა, ლიტველებმა საკალათბურთო ნაკრებისთვის დაწუნებული მოთამაშეები გამოგზავნესო — ქილიკობდნენ თანამემამულეთა შთამბეჭდავი გამარჯვებით გულგახეთქილი ჩასაფრებული „ქომაგები“, „ჯვაროსანთა“ წაფორხილებას მოუთმენლად რომ ელიან. კი ბატონო, ენას ძვალი ნამდვილად არა აქვს, მაგრამ ბოლმასაც ხომ აქვს ზღვარი, მით უმეტეს — სეზონის სტარტზე, როცა ბიჭებმა ერთა ლიგაზე უნდა დაიცვან საკუთარი ღირსება.

საქართველო — ლიტვა 4:0 (4:0)

გოლები: პაპუნაშვილი, ქვილითაია, ყაზაიშვილი (პენალტით), ჩაკვეტაძე.

მეტოქესთან ძველი ანგარიშები გვქონდა გასასწორებელი, რადგან შაბათამდე მასთან უარყოფითი ბალანსით მოვედით — 2 მოგება, 1 ფრე და 3 წაგება. მოტივაციას რომ დიდი ძალა აქვს, ამჯერადაც დადასტურდა — სტუმართა კარში გატანილი ბურთების ავტორები (პენალტს არ ვგულისხმობთ) ის ამბიციური დებიუტანტები არიან, გუნდის ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად რომ მართებთ ძალისხმევა.

ანანიძე ისევ დაშავდა

რასაკვირველია, კომპლიმენტებს მასპინძელთა თავკაციც იმსახურებს, რომელმაც შეგირდები აღნიშნული ლოკალური წარმატების მისაღწევად სათანადოდ მოამზადა როგორც ტაქტიკური, ისე ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ნურც გადაჭარბებულად შევაფასებთ ბალტიისპირელთა დაჩოქებას, რადგან იმავე დღეს ომახიანად დაიქუხა მომავალ შესარჩევ ტურნირში ჩვენებურთა უმთავრესმა კონკურენტმა — ყაზახეთმა, რომელმაც გასვლაზე უნგრეთი გააწბილა — 3:2. რაც შეეხება კიდევ ერთ ოპონენტს — ლატვიას, იგი სენსაციურად შერცხვა გიბრალტართან — 0:1, რომელმაც ხანმოკლე ბიოგრაფიაში მეორე გამარჯვება მოიპოვა.

დღეს 19 საათზე მიხეილ მესხის სტადიონზე მეორე სპარინგს ჩავატარებთ ესტონეთთან, რომელიც ერევნიდან სომხეთთან გაფორმებული ზავის შემდეგ (0:0) გვეწვია.

* * *

ევრო — 2019-ის 21-წლამდელთა შესარჩევი რაუნდი. საქართველო — ფარერები 1:0. **გოლი:** ზარანდია.

ევრო — 2018-ის 17-წლამდელთა ელიტ-რაუნდი. საქართველო — ირლანდია 0:2.

გიორგი ზოთაძე

◎ სუმო

ტრავმირებული ხუთოსანი

დასავლეთის სეკივაკეს რანგში მოჭიდავე ქართველმა სუმოისტმა, 30 წლის ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი), ვარჯიშზე მიღებული სერიოზული ტრავმის მიუხედავად, ოსაკაში წლის მეორე სუპერტურნირზე (ჰარუ ბაშო) 15-დან 10 ორთაბრძოლა მოიგო, თანაც, მაღალი კლასი აჩვენა და სუმოს ასოციაციისგან ბრწყინვალე ასპარეზობის აღსანიშნავად სპეციალური პრიზი დაიმსახურა. მან ეს ჯილდო (შუკუნ-შო) კარიერაში მეორედ მიიღო.

პირველად ეს მისთვის ტრიუმფალურ იანვრის ბაშოზე მოხდა, როცა ქართველი ისტორიაში მესამე ევროპელი გახდა, ვინც იაპონიის იმპერატორის თასი მოიგო.10-5 ბალანსი სამომავლოდ ტოჩინოშინს ჩემპიონის (ოძეკი) რანგის მისაღებად შესანიშნავ პლაცდარმს აძლევს, ახლა კი ქართველი ნახევარი საფეხურით დაწინაურდება — დასავლეთის ნაცვლად აღმოსავლეთის სეკივაკე გახდება. 13-2 ბალანსით იმპერატორის თასი მონღოლმა კაკურიუმ მეოთხედ დაისაკუთრა.



საბოლოო მდგომარეობა. 13-2. კაკურიუ (იოკოძუნა), 12-3. ტაკაიასუა (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 6), 11-4. იკიოი (მ 14); 10-5. ტოჩინოშინი.

თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ) ძურიოს დივიზიონი ღირსეულად დაასრულა — 8-7. ის აღმოსავლეთის მე-5 ნომერია. ვნახოთ, ეყოფა თუ არა მინიმალური დადებითი ბალანსი ქართველს ელიტაში დასაბრუნებლად.

თამაზ პატარიძე

◎ წყალბურთი

ჰლეი-ოფში ასე დაწყვილდნენ

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე წრის შეხვედრები გაიმართა. პირველ ტურში „დინამომ“ (რაზმაძე, შავშიშვილი, მოსაშვილი, თეთრაძე, გაბადაძე, ადეიშვილი, ხვედელიანი, ბაღათურია, რურუა, ჯახაია, ხამოევი, ერისთავი, ქართველიშვილი, დვალი, გვეტაძე) „სპორტმენეჯმენტი“ (ჩხიკვიშვილი, მერაბიშვილი, მაისურაძე, გაგოშიძე, ახვლედიანი, შუბითიძე, პატარიძე, ბარბაქაძე, რობაქიძე) დაჯაბნა — 21:2 (7:1, 4:1, 3:0, 7:0), ხოლო „ლოკომოტივმა“ (ქარჩავა, ქავთარაძე, ქარჩილაძე, ფურცელაძე, ბაბუნაშვილი, ყავლაშვილი, რუსიშვილი, ივანიშვილი, ურუშაძე, გეგელაშვილი, კახეთელიძე, ჩიკვაიძე, კუჭუაშვილი) „თბილისს“ (კაპანაძე, ცხაკაია, დადვანი, სამყურაშვილი, მემანიშვილი, ხოხაშვილი, წულუკიანი, ხვინგია, ჭეიშვილი, იმნაიშვილი, გიორგაძე, ბარაბაძე) მოუგო — 15:6 (4:1, 2:2, 4:1, 5:2).

დანარჩენი ორი ტურის პაექრობები ასე დასრულდა: „თბილისი“ — „სპორტმენეჯმენტი“ — 15:5 (4:1, 3:1, 5:1, 3:2), „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 13:10 (3:3, 4:2, 1:3, 5:2); „ლოკომოტივი“ — „სპორტმენეჯმენტი“ — 17:3 (5:0, 5:1, 2:1, 5:1), „თბილისი“ — „დინამო“ 6:19 (1:5, 2:5, 2:4, 1:5). რეგულარული ჩემპიონატი „დინამომ“ პირველ ადგილზე დაასრულა, ამიტომ ეროვნული პირველობის ნახევარფინალში ის ბოლოადგილოსან „სპორტმენეჯმენტს“ დაუპირისპირდება, მეორე ნახევარფინალში კი „ლოკომოტივი“ და „თბილისი“ გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

ლაშა დიდია

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲨᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲜᲔᲜ...

ყველა მილიარდერი არ დაბადებულა უზრუნველყოფილ ოჯახებში, პირიქით, ბევრს ადრეული ასაკიდან უწევდა ბრძოლა გადარჩენისთვის. დაუღალავი შრომის, მიზანდასახულობისა და საღი აზროვნების წყალობით, მათ შეძლეს მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში მოხვედრა. გთავაზობთ 12 ყველაზე ცნობილ ადამიანს, რომლებმაც ცხოვრება სიღარიბეში დაიწყო და ფინანსური კეთილდღეობის მწვერვალს მიაღწია.

6. ᲚᲐᲫᲨᲛᲘ ᲛᲘᲢᲐᲚᲘ, მეტალურგიული მაგნატი, საკუთარი კაპიტალი 18,5 მლრდ. დოლარი.

მიტალი დაიბადა ინდოეთში, ქალაქ კალკუტაში, სადაც მამამისს ქონდა საშუალო ბიზნესი, თუმცა ის მთავრობასთან პრობლემების გამო გაკოტრდა.ამის შემდეგ ოჯახი გადასახლდა ინდონეზიაში, სადაც ლაქშმი მიტალმა დაიწყო მცირე ბიზნესი, რომელიც დროთა განმავლობაში გადაიზარდა გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციად.

დღეს მიტალი ფლობს მსოფლიოში უმსხვილეს მეტალურგიულ კონცერნს, რომელზეც მოდის მეტალის მსოფლიო წარმოების 10%, და მუშაობს 30 ქვეყანაში.

5. ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲚᲕᲔᲙᲘᲝ, Luxottica Group, საკუთარი კაპიტალი 22,9 მლრდ. დოლარი.

დელვეკიო იზრდებოდა 5-შვილიან ოჯახში, დედამისს ისე უჭირდა, რომ მომავალი მილიარდერი იზრდებოდა ბავშვთა თავშესაფარში. შრომითი საქმიანობა მომავალმა მილიარდერმა დაიწყო ავტოსათადარიგო ნაწილების ქარხანაში მექანიკოსის დამხმარედ. სწორედ იქ მიღებული ცოდნა, განსაკუთრებით, მეტალის დამუშავებაში, მომავალში დაეხმარა მას სათვალეების დასამზადებელი სახელოსნოს გახსნაში.

ამჟამად ლეონარდო დელვეკიო ფლობს და ხელმძღვანელობს კომპანია Luxottica Group-ს, რომელიც აღიარებულია მსოფლიო ლიდერად სათვალეების წარმოებაში. მას ეკუთვნის ისეთი განთქმული ბრენდები, როგორიცაა Ray-Ban, Oakley და Persol.

4. ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲞᲘᲜᲘ, Gucci, Christie's, Yves Saint Laurent, საკუთარი კაპიტალი — 28,5 მლრდ. დოლარი.

ფრანსუა პინი დაიბადა ხის მასალებით მოვაჭრის ოჯახში, საფრანგეთის პროვინცია ბრეტანში. მას ძალიან უჭირდა სწავლა, თუმცა, ბავშვობიდან აინტერესებდა მეწარმეობა. 16 წლის ასაკში მან თავი დაანება სკოლას, იმ მიზეზით, რომ კლასელები დასცინოდნენ სიღარიბის გამო.

რამდენიმე წლის მანძილზე მომავალი მილიარდერი ირჩენდა თავს სხვადასხვა საქმიანობით თავის რეგიონში და პა-

რიზში, შემდეგ 3 წლით გაემგზავრა ალჟირში, საიდანაც ჩამოვიდა კაპიტალით, რომელიც გამოიყენა საკუთარი ბიზნესის შექნისთვის. პინი ცნობილია იმით, რომ ბიზნესში ის არის „მტაცებელი", ანუ, ყიდულობს კომპანიებს იაფად, კრიზისების დროს. 1973 წელს პინიმ მიყიდა თავისი ბიზნესი ინგლისელ ინვესტორებს 30 მლნ. ფრანკად, კრიზისის შემდეგ კი შეისყიდა ის მხოლოდ 5 მლნ-ად.

ბიზნესმენი დებდა ინვესტიციებს ფუფუნების საგნების მწარმოებელ კომპანიებში ის ფლობს ისეთ ბრენდებს, როგორიცაა Yves Saint Laurent, Bottega Veneta, Stella McCartney, Alexander McQueen, პარიზის სავაჭრო ცენტრ Printemps-ს, ავეჯის მწარმოებელს Conforama-ს, სავაჭრო ქსელ Fnac-ს, მოდების სახლს Gucci-ს და აუქციონ Christie's.

3. ᲚᲘ ᲙᲐᲨᲘᲜᲘ, ჩინელი მაგნატი, საკუთარი კაპიტალი — 35 მლრდ. დოლარი.

1940 წელს კაშინის ოჯახი გაექცა იაპონურ ოკუპაციას ჩინეთიდან ჰონკონგში, სადაც მომავალი ბიზნესმენის მამა გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

ლი, რომელსაც ამ დროს მხოლოდ 5 კლასი ჰქონდა დამთავრებული, თავი დაანება სწავლას და დაიწყო საათების ქამრებით ვაჭრობა, შემდეგ კი მუშაობა პლასტმასის ყვავილების მწარმოებელ ქარხანაში გაგრძელა. ის მუშაობდა 16 საათი დღეში და დადიოდა ღამის სკოლაში.

2. ᲨᲔᲚᲓᲝᲜ ᲐᲓᲔᲚᲡᲝᲜᲘ, Las egas Sands, საკუთარი კაპიტალი 35 მლრდ. დოლარი.

ადელსონი დაიბადა ღარიბ ებრაულ ოჯახში — დედამისი იყო წარმოშობით უკრაინიდან, მამა — ლიტვიდან. მამამისი იყო ტაქსისტი, თუმცა მისი შემოსავალი არ იყო საკმარისი ოჯახის

რჩენისთვის, რადგანაც დიდ ნაწილს ის უხდიდა მაფიას. **„მე დავიბადე ძალიან ღარიბ ოჯახში და გავიზარდე სიღატაკეში. სახლში იყო მხოლოდ ერთი საწოლი, მშობლებისთვის, ბავშვებს კი გვეძინა იატაკზე",** — ყვებოდა თავად შელდომი.

პირველი ფული მან გამოიმუშავა 12 წლის ასაკში, როდესაც დაიწყო ქუჩაში გაზეთების გაყიდვა. მოგვიანებით ის მუშაობდა ბროკერად, საინვესტიციო ექსპერტად, შექმნა 50-ზე მეტი კომპანია. ამჟამად ის ფლობს მსოფლიოში უმსხვილეს კომპანიას აზარტული თამაშების ინდუსტრიაში Las Vegas Sands და ითვლება აშშ-ში უმსხვილეს პოლიტიკურ დონორად.

1. ᲚᲐᲠᲘ ᲔᲚᲘᲡᲝᲜᲘ, Oracle, საკუთარო კაპიტალი 64,1 მლრდ. დოლარი.

9 თვის ასაკში ლარი დაავადდა პნევმონიით და მისმა 19 წლის მარტოხელა დედამ შვილი გასაზრდელად დეიდას მიაბარა. დეიდის გარდაცვალების შემდეგ ლარი წავიდა კალი-

ფორნიაში, სადაც 8 წელი მუშაობდა სხვადასხვა ადგილებზე. 1977 წელს მან შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია Oracle, რომელიც დღეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი უმხსვილესი მაღალტექნოლოგიური კომპანია.

http://commersant.ge

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲠ" № 60-61

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ"
ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐᲡ Ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲥᲘᲚᲔᲕᲡᲘᲡ ᲥᲣᲡᲚᲘ

აწუხებს წყლული საქართველოს —
დაჭრილ აქილევსს,
მაგრამ მედეა წარგვტაცეს და
ვინ უაქიმებს?..

„ᲒᲕᲔᲡᲛᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐ!"

ჩვენი ცხოვრება დღეს იმფერია,
გრანტიჭამია ფეხს ულოკავს იმ იმპერიას,
ვისი ცხოვრება დოლარის ან რუბლის ფერია!

არადა, არა, გადამრჩენი არ არსებობს სხვა,
ვინ გაიღებს ხელს, ვინ ამოწვდის ხმალს,
თუ დავივიწყებთ
ილიას და ლელთ ღუნიას ხმას?!

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲢᲔᲠ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲘᲡᲐ

ჩანს, რაც ერთ ქვაზე წერია,
დავიწყებული ძველია,
თან დრო-ჟამისგან მოსვრილი;
უკვე მრავალი წელია,
ხავსმოდებული წვერი აქვს
და მტერი — „მოყვრად მოსული"-
დღეს უკვე მასპინძელია!

ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ

ქვეყნის ჩარხი რომ დაბრუნდა უკან,
ისევ მოვძებნეთ მსოფლიოს რუკა,
რომ მივაკვლიოთ ჩვენთვის სანუკვარ
შვილთა ნაკვალევს...
დაბრუნდებიან უკლებლივ უკან,
თუ ვინც წავიდა, უკვე დავკარგეთ?

ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

როცა ქალაქში შემცირება-დათხოვნებია
და თავს ვერ ვაღწევთ
ხელგამოწვდილ მათხოვრებიდან,
ვაჟები ვეღარ ქორწინდებიან
და გოგონები,
აბა, როგორ გათხოვდებიან?

ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ნაყარ-ნუყარით გამოფინეს დღეს გალიები,
დანამატებით,პრემიებით, რეგალიებით;
ფაროსანები დაგვასიეს და კალიები!

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ?

„ფალავანი ფალავანსა
ორჯერ დასცემს, გაუშვებსა,
თუ მესამედ წააქცია"...
საპნის ბუშტად გაუშვებსა:
იფრინოს ძირს დაუშვებლად!

ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

როცა სიცილი დაკვეთილია,
ხუმრობა იმის გაკვეთილია,
რომ თქვან,
დამკვეთი რა კეთილია!

ᲬᲘᲜᲐᲣᲙᲛᲝ ᲙᲐᲚᲐᲛᲑᲣᲠᲘ

ფეხს ვუწყობდით რუსულ „ურას",
დღეს სხვა გვახვევს ტარაბუას,
ინგლისურად, გერმანულად,
თურქულად და არაბულად.
შურიანთა შავი ნების
თეთრი ძაფით წალამბულნი,
დაე, ნუღარ ავირევით
წინაუკმო კალამბურით!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,
ქუთაისი

სანთელი

უახლოესი მეგობრები რეზო მხეიძე, ნოდარ მგალობლიშვილი, ვოვა კოსტავა, ირაკლი ჟორდანია, თამაზ შილაკაძე ღრმა გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ქართველი, ბრწყინვალე პიროვნება, თვალსაჩინო ინჟინერი

გივი აკაკის ძე მესხიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები მურად მეფარიშვილი, მურმან ნანიტაშვილი, გივი თაბორიძე, დავით მიქიაშვილი, ზაურ ტაბატაძე, ზაზა ბალიაშვილი, თამაზ ტეტუნაშვილი, შალვა ბარბენაშვილი, ამირან არჩვაძე, გია ბურჯანაძე, ფრიდონ ლოლაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჭეშმარიტი მამულიშვილის, სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული ჭეშმარიტი პატრიოტის

გელა გიორგის ძე ღონღაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ყველა ჭირისუფალს.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, რომელიც ესოდენ გიყვარდა...

პანაშვიდი 27, 28 III, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში (გადასასვლელ ხიდთან). გამოსვენება 29 III, 14 სთ.

შპს. „გეომარის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ იამზე (ფისო) კალაძე-იმნაიშვილს და ირაკლი იმნაიშვილს დედისა და სიდედრის

ზინა ქაფიანიძე-კალაძის

გარდაცვალების გამო.

ძმა მიხეილ ესაკია, რძალი ცისანა, ძმისშვილი გიორგი ესაკია, ძმის შვილიშვილები ნიკა ჩაჩხიანი, ნიკო, ლიზა, გიორგი ესაკიები, ბიძაშვილი ბელა ესაკია ოჯახით, ბიძაშვილის შვილები აზა წოწორია, ზურაბ, გრიგოლ ესაკიები ოჯახებით, მამიდაშვილი ჯუმბერ ებრალიძე ოჯახით, მამიდაშვილის შვილი ბაია დარსანია ოჯახით, რძალი დიანა დარსანია ოჯახით, დეიდაშვილის შვილები ნატო, ზაზა ნაკუდაშვილები, ბიძაშვილები ანიკო, ემა, გივი ზურაბიშვილები ოჯახებით, ლიანა როსტიაშვილი ოჯახით, თამაზ გავაშელი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია ესაკია

პანაშვიდი 27, 28 III; ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა №7, გამოსვენება ბინიდან 29 III, 14 სთ.

ხსოვნა

კუკური კვარაცხელია

საქართველოს ჰიდრომშენებელთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **კუკური კვარაცხელია**.

კუკური კვარაცხელია დაიბადა 1939 წლის 30 აგვისტოს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში. 1965 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო „ენგურჰესის მშენებლობაზე, სადაც მუშაობდა სამშენებლო სამმართველო „ენგურკაშხალმშენის“ ენერგეტიკოსად, „ენგურჰესის“ სამმართველოში განყოფილების უფროსად (1965-69 წ.წ.).

კუკური კვარაცხელიას წილად ხვდა პატივი, მიეღო მონაწილეობა ევფრატის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობაზე სირიის რესპუბლიკაში (1969-71 წ.წ.).

ბატონმა კუკურიმ უდიდესი როლი ითამაშა „ენგურჰესის“ მშენებლობის სამმართველოს სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბებაში.

სირიიდან დაბრუნების შემდეგ ის მუშაობდა სამოქალაქო ბინათმშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოებში განყოფილების უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, სამმართველოს მთავარ ინჟინრად (1972-80 წ.წ.).

1980 წელს კუკური კვარაცხელია დაინიშნა სამშენებლო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის“ საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს უფროსად, სააქციო საზოგადოება „ენერგოკომპლექტის“ გენერალურ დირექტორად.

კუკური კვარაცხელია დაჯილდოებული იყო ბევრი სახელმწიფო ჯილდოთი, მათ შორის „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ბატონი კუკური იყო თავისი გვარის ღირსეული წარმომადგენელი. დაარსების დღიდან, ის გახლდათ კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი და ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებს მადლიერი „ენგურჰესმშენის“ მშენებლობის კოლექტივი და კვარაცხელიების საგვარეულო კავშირი.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო დიდო მეგობარო.

ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, კლიმენტი ჭანჭღავა, ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, ნოდარ შარტავა, იური გუგუჩია, მერაბ კვარაცხელია, მერაბ დავითაია, მურმან ჩაკაბერია, დოდიკა ქუჩულორია, გოგი კვარაცხელია, დოდო კვარაცხელია, კარლო შანავა, ადიკო გვალია, მურად ჟურაძე, ალბერტ სიორიძე, ზურაბ ლიპარტია, კოლია ენუქიძე.

ალვერ იზორია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება სიძის, „ენგურჰესის“ მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის

კუკური კვარაცხელიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 27, 28 III, მისამართი: ალ. ყაზბეგის 30ა. გამოსვენება 29 III, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან (სამედიცინო ინსტიტუტის გვერდზე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

შუქრუთის მაღაროდან დაღუპული მუშა ამოიყვანეს

ჭიათურაში შუქრუთის მაღაროდან დაღუპული მუშა ამოიყვანეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 45 წლამდე მამაკაცი ნანგრევებში 3 კილომეტრის სიღრმეზე იყო მოყოლილი.

ცნობისთვის, შუქრუთის მაღაროში გვირაბი გუშინ გამთენიისას ჩამოიშალა, რასაც 45 წლის ზაზა აბრამიშვილი ემსხვერპლა.

თბილისში ავტომობილი 26 წლის მამაკაცს დაეჯახა

თბილისში, ვეძისში მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე 26 წლის მამაკაცს დაეჯახა.

დაშავებული ცენტრალურ საუნივერსიტეტი კლინიკაშია გადაყვანილი. ექიმების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცს დაზიანებები თავისა და გულმკერდის არეში აღენიშნება და მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებულია 60 წლამდე ასაკის ავტომანქანის მძღოლი.

უწყების ინფორმაციით, მძღოლმა მიმალვა სცადა, მას საპატრულო ეკიპაჟი აედევნა და დააკავა. დაკავების დროს 60 წლამდე ასაკის მამაკაცმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს შეურაცხყოფა მიაყენა.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4314; ევრო - 2.9972;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4273;
100 რუბლი - 4.2485; თურქული ლირა - 0.6115;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4318;
1000 სომხური დრამი - 5.0601.

ამინდი 27 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +20
თბილისი:	ღამე +7,	დღე +16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge